საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 170 (190)
შაბათი, 31 აგვისტო, 1991 წელი
ფასი 10 კაპიკი

რესპუბლიკის მთავრობაში

დავძლიოთ ეკონომიკური კრიზისი

30 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გამართა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეკონომიკაში დღეს არსებულ რთულ ვითარებას.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების წევრები, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, მსხვილი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები, ეკონომიკური სამსახურების თავკაცები, სახელმწიფო და კომერციული ბანკების წარმომადგენლები, კოოპერატივების, ერთობლივი საწარმოების, ბირჟების, ასოციაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები, მთავრობის აპარატის მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა. მან მოკლედ მიმოიხილა საერთაშორისო და საშინაო ვითარება, რომლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკამ უნდა შეიმუშაოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი — 1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზაციის პროგრამა. ამ პროგრამის პროექტი წარმოდგენილია ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ.

დღის წესრიგის ძირითად საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე მურმან გედენიძე.

მისასალმებელია, რომ კამათში გამოსულებმა დაძლიეს ანგარიშგებაზე აგებული ტრაფარეტული მოხსენებები და კონცეპტუალური წინადადებებით წარსდგნენ კონფერენციის მონაწილეთა წინაშე. მათ ყოველმხრივ გააანალიზეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა და მრავალი კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე კონკრეტული წინადადება წამოაყენეს. ყველა ეს წინადადება საფუძვლიანი მსჯელობის საგანი გახდება სექციებში და შემდეგ მათ კვლავ განიხილავენ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. მიღებული წინადადებები შევა პროგრამაში, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართოდ გაეცნობა რესპუბლიკის მოსახლეობა. პროგრამა საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების საწინდარი გახდება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

კონფერენციის ანგარიში გამოქვეყნდება.

საქინფორმი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი შესასყიდი ფასები

უკანასკნელ პერიოდში არაერთხელ შეიცვალა სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მატერიალური რესურსების ფასები და მომსახურების ტარიფები. ამან გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტთა თვითღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა, რის გამოც მოქმედი შესასყიდი ფასები ვერ უზრუნველყოფდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, საიჯარო კოლექტივების და სხვა მწარმოებელთა დაინტერესებას. შესაბამისად მოქმედი ფასები წარმოების სტიმულატორის ნაცვლად მუხრუჭად გადაიქცნენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებით უშუალო მწარმოებელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, პროდუქციის სახელმწიფო რესურსებში მაქსიმალურად მოქცევის, მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების საბაზრო ურთიერთობაზე თანდათანობით გადასვლისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნისა და ფასების მოწესრიგების მიზნით სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადებით რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 24 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად 1991 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედის სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქციის ზღვრული (სახელმწიფო) შესასყიდი ფასები. ამასთან აღსანიშნავია, რომ უკიდურესად შეიზღუდა იმ პროდუქციის ნუსხა, რომელზეც დაწესდა სახელმწიფო ფასები.

ხილისა და ბოსტნეულის მრავალი სახეობიდან ფიქსირებული ფასი დაწესდა მხოლოდ სამი სახეობის ბოსტნეულზე — თავიან ხახვზე, ღია გრუნტის კიტრსა და პამიდორზე და საგვიანო ვაშლზე. ყველა სხვა სახის კურკოვანი და თესლოვანი ხილის, ბოსტნეულის შესყიდვა განხორციელდება სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასებით, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებას, შექმნის თავისუფალი მეწარმეობის პირობებს.

განსაკუთრებით კარგი ეკონომიკური პირობები შეექმნათ საგვიანო კარტოფილის მწარმოებელ მეურნეობებს. 1 ტონა კარტოფილის ახალი შესასყიდი ფასია 850 მანეთი ნაცვლად აქამდე მოქმედი 350 მანეთისა, ანუ იგი 2,4-ჯერ გადიდდა. საგვიანო ვაშლის შესასყიდი ფასი გადიდდა 50 პროცენტით.

ციტრუსებიდან ფიქსირებული შესასყიდი ფასი გამოყენებული იქნება მხოლოდ მანდარინის შესყიდვისას. 1 ტონა მანდარინის ახალი შესასყიდი ფასი 2400 მანეთია, ნაცვლად მოქმედი 1620 მანეთისა, ანუ გადიდდა 50 პროცენტით. დანარჩენ სახეობათა ციტრუსების ნაყოფის შესყიდვა განხორციელდება სახელშეკრულებო ფასებით.

გათვალისწინებულ იქნა მარცვლეული კულტურების მეტად დიდი მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის და ყველა სახეობის მარცვლეულის შესასყიდი ფასი ერთიორად გაიზარდა.

განსაკუთრებით ხელსაყრელი გახდა შაქრის ჭარხლის წარმოება. 1 ტონა შაქრის ჭარხლის შესასყიდი ფასი 78 მანეთიდან 250 მანეთამდე, ანუ 3,2-ჯერ გაიზარდა, რამაც მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს ამ პროდუქციის წარმოების გადიდებას.

მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების შესასყიდი ფასი აქამდეც მაღალი იყო, იგი კიდევ უფრო გადიდდა და მან უნდა უზრუნველყოს ამ პროდუქციის რენტაბელობის ამაღლება. კერძოდ, უმაღლესი შეხორცების 1 ტონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესასყიდი ფასი 5210 მანეთიდან გადიდდა 7000 მანეთამდე ანუ თითქმის 35 პროცენტით. ანალოგიურად გადიდდა ცხვრის შესასყიდი ფასიც და შეადგენს 4440 მანეთს, ნაცვლად მოქმედი 3840 მანეთისა. ფრინველის შესასყიდი ფასი 3200 მანეთიდან 5000 მანეთამდე ანუ 56 პროცენტით გაიზარდა.

ღორის შესასყიდი ფასი ჯერ კიდევ წლევანდელი მაისიდან გაიზარდა. 1 ტონა I კატეგორიის ღორის შესასყიდი ფასია 5500 მანეთი. ამ ფასით ღორის შესყიდვა ხდებოდა მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობიდან, ხოლო მოსახლეობას კვლავ ძველი ფასები, ანუ 1 ტონაში 3620 მანეთი უნაზღაურდებოდა, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

სიახლე ის არის, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ღორის შესყიდვა მოქალაქეთა პირადი მეურნეობებიდანაც მოხდება ზემოაღნიშნული ფასით, ანუ საზოგადოებრივი მეურნეობების თანაბრად.

პირველი ხარისხის ერთი ტონა რძის შესასყიდი ფასი გადიდდა 1000 მანეთამდე ანუ 35 პროცენტით, მეორე ხარისხის რძის შესასყიდი ფასი კი შეადგენს 900 მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი აქამდეც მაღალი რენტაბელობით ხასიათდებოდა, მთავრობამ გაითვალისწინა რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მისი მეტად დიდი მნიშვნელობა და შესასყიდი ფასები კიდევ 50 პროცენტით გაზარდა.

პირველი ხარისხის ერთი ტონა ჩაის ფოთლის ახალი შესასყიდი ფასი 3120 მანეთია, მე-2 ხარისხისა — 1990 მანეთი. ამან მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ჩაის ხარისხის ამაღლებას.

რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოქალაქეთა მოთხოვნა, რომ გადიდდეს ტექნიკური ჯიშის ყურძნის ფასები და საგრძნობლად გაზარდა მოქმედი შესასყიდი ფასები. ერთი ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძნის შესასყიდი ფასი დამტკიცდა 1500 მანეთის ოდენობით, ნაცვლად მოქმედი 1000 მანეთისა, ანუ გადიდდა 50 პროცენტით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ოროდე წლის წინათ რქაწითელის შესასყიდი ფასი 540 მანეთს შეადგენდა, ფასის მატება მეტად საგრძნობია და ამანაც აუცილებლად ხელი უნდა შეუწყოს ყურძნის წარმოების გადიდებას. ასევე 50 პროცენტით გაიზარდა ცოლიკაურის ყურძნის ფასი და ამჟამად ერთი ტონა ცოლიკაური 1500 მანეთი ღირს, ნაცვლად 1000 მანეთისა, ციცქას ფასი 1100 მანეთიდან გადიდდა 1800 მანეთამდე ანუ 63 პროცენტით, პინოს ჯიშის ყურძნის ფასი 1500 მანეთიდან 2200 მანეთამდე, ე. ი. 47 პროცენტით. მეტნაკლებად გადიდდა ყველა ჯიშის ყურძნის შესასყიდი ფასები. მარტო ყურძნის შესასყიდი ფასების გადიდების შედეგად საზოგადოებრივი მეურნეობები და მოქალაქეთა პირადი მეურნეობები დამატებით მიიღებენ 244 მლნ მანეთ შემოსავალს.

ყველა იმ პროდუქციის შესასყიდი ფასების გადიდების შედეგად, რომლებზეც მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით დაწესდა ფიქსირებული შესასყიდი ფასები, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი მეურნეობები დამატებით მიიღებენ 1197 მილიონ მანეთ შემოსავალს.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შესასყიდი ფასების გადიდების შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავლები ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნეს მეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების, გაწეული მატერიალური დანახარჯებისა და ფასების გადიდების შედეგად მთავრობის დადგენილებით დაწესებული კომპენსაციებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურების, ბანკის წინაშე ვალდებულებების განაღდებისათვის.

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დამატებითი შემოსავლების ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომუშავეთა შრომის ანაზღაურების გადიდებისა და მათი მატერიალური წახალისებისათვის.

გარდა ამისა, საზოგადოებრივ მეურნეობებს მნიშვნელოვან შემოსავალს მისცემს უმეტეს სახეობათა ხილბოსტნეულის პროდუქციაზე სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების შემოღება.

ცხადია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფასების აღნიშნული გადიდება მთლიანად ვერ ასახავს იმ ღრმა ინფლაციურ პროცესებს, რაც ახასიათებს ჩვენს თანამედროვე ეკონომიკას, მაგრამ გასათვალისწინებელია რესპუბლიკის ბიუჯეტის უაღრესად შეზღუდული შესაძლებლობა, რთული ეკონომიკური ვითარება, რაც თანდათანობით და მოთმინებით უნდა დავძლიოთ.

რესპუბლიკის მშრომელები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ხელისუფლება გზადაგზა კვლავაც განახორციელებს ფასების მოწესრიგების პოლიტიკას. საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე მოხდება ფასების კიდევ უფრო ლიბერალიზაცია, მისი მიახლოება საბაზრო ფასებთან, რათა, რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული იყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

საქინფორმი

სამი დღე საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე

ანუ ფიქრი და განსჯა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანილი პროდუქციის კანონიერების თაობაზე

ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად ყველაფერს ღონობს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, თავისუფალი მოქმედების უფლება მიეცათ სამეწარმეო თუ სამეურნეო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს ბარტერული გაცვლის წესით რესპუბლიკაში სასურსათო პროდუქტების და საშენ მასალათა შემოსატანად.

იმის გასარკვევად, თუ რა გააქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და სანაცვლოდ რა შემოაქვთ, ვესტუმრეთ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე სადღეღამისო გრაფიკით მოქმედ მლეთის, გველეთის და დარიალის საკონტროლო საგუშაგოებს.

ჩვენი მორიგეობა საგუშაგოზე „პიკის" დღეებს დაემთხვა, რაც როკის მიმართულებით ავტოტრანსპორტის მიმოსვლის დროებითი შეწყვეტით იყო გამოწვეული. დარიალის კარიბჭეს საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში მიმავალი ტრანსპორტი მოაწყდა. ცხარე დღეები დაუდგათ საგუშაგოს მორიგეებს, დღე-ღამის განმავლობაში ამოწმებდნენ ავტომანქანებს.

— რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 29 აპრილის დადგენილებით საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის მფლობელებს ვაძლევინებთ ერთჯერად საბაჟო გადასახადს შემდეგი ოდენობით: მსუბუქ ავტომანქანაზე — 10 მანეთს, სატვირთო ავტომანქანაზე — 20 მანეთს, ხოლო მისაბმელიან სატვირთო ავტომანქანაზე — 30 მანეთს, — თქვა დარიალის საგუშაგოს უფროსმა, სახელმწიფო ავტოინსპექციის მოტორიზებული ოცეულის საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ზურაბ მორჩილაძემ. — გარდა ამისა ვამოწმებთ, თუ რა ტვირთი გააქვთ ან შემოაქვთ, აქვთ თუ არა საბუთები. ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკისკენ მომავალი ავტოტრანსპორტის გასინჯვა მეტად შრომატევადია, უფრო მეტიც, ღამის საათებში მორიგეობა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. ცვლაში სამი კაცი მორიგეობს, უახლოეს, ყაზბეგის რაიონთან არა გვაქვს სატელეფონო კავშირი, როცა ელექტროენერგია გამორთულია, რადიოკავშირიც წყდება.

— ჩვენ კარგად გვესმის, რომ ახლა საქართველოსთვის ყოველი მანეთი ძვირად ფასობს და ბაჟის გადაუხდელად ვერავინ გაგვეპარება, უნებართვო ტვირთსაც არავის გავატანთ, თუნდაც ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას, — მტკიცედ განაცხადეს მილიციის ზემდეგებმა გივი კვირკველიამ, ანზორ რეხვიაშვილმა და სერჟანტმა ოთარ გოგიაშვილმა, რიგითმა მილიციელებმა ბონდო ხმელიძემ და ანზორ მაკალათიამ. — თუმცა გვეჭვებს ხოლმე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ტვირთის კანონიერება, მაგრამ ხშირად უძლურნი ვართ რაიონების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ დამოწმებული საბუთების წინაშე, — სინანულით დასძინეს მათ და გვიჩვენეს სენაკიდან გროზნოში 8 აგვისტოს გაგზავნილი ორ ტონამდე ძაფის ფაქტურა...

— გვევალება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა-შემოტანის შემოწმება, მაგრამ რესპუბლიკის რაიონებიდან საშენ მასალათა გატანის დროსაც არ ვხუჭავთ თვალს, — ჩაება საუბარში გველეთის სავეტერინარო-საკარანტინო. საგუშაგოს უფროსი, ყაზბეგელი ვეტექიმი დავით ფიცხელაური. — 28 ივლისს თელაველებს საკუთარი „ჟიგულით" (სახელმწიფო ნომერი პ 76-76 გა) სურდათ 600 კილოგრამი ატმის გატანა რესპუბლიკის გარეთ სარეალიზაციოდ. ნუთუ ბაზარი საქართველოში არ მოეწონათ, რომ აქვე გაეყიდათ. ყაზბეგის ბაზარში კილოგრამი ატამი 8 მანეთი ღირს. რა თქმა უნდა, ატმით დატვირთული „ჟიგული" უკან დავაბრუნეთ, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როდესაც რაიონის პრეფექტურების საბუთებით მოდიან?

ამ საუბრისას კამაზის მარკის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომერი 65-65 გავ) მოადგა საგუშაგოს. მას მძღოლი გ. გურბანოვი მართავდა, რომელსაც მარნეულიდან არმავირში 11200 მანეთის ბაზალტის ფილები მიჰქონდა. მძღოლს ვერავითარ პრეტენზიას ვერ წავუყენებდით. მან წარმოადგინა მარნეულის საწარმოო გაერთიანება „ბაზალტის" დირექტორისა და ბუღალტრის ხელმოწერილი 1991 წლის 6 აგვისტოს ფაქტურა № 000463, რომელიც დამოწმებული იყო მარნეულის სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდით.

— უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე, 23 ივლისიდან 6 აგვისტომდე, მარნეულის საწარმოო გაერთიანება „ბაზალტმა" თავისი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოს ბეჭდით დამოწმებული ფაქტურებით რესპუბლიკის გარეთ გაგზავნა დაახლოებით სამასი ათასი მანეთის ბაზალტის ფილები, ხოლო მის ნაცვლად რა შემოიტანა, — არავინ იცის, — დასძინა საგუშაგოს უფროსმა.

მასთან ერთად ვათვალიერებთ ფაქტურებს. საინტერესოა, რა შემოიტანა მარნეულის კოოპერატივმა „დიდგორმა" უკრაინის ქალაქ ჩიგირინსკის სახელმწიფო ისტორიულ-კულტურულ ნაკრძალებისათვის გაგზავნილი 63706 მანეთის ბაზალტის ფილების სანაცვლოდ?

— უსაბუთოდ ტვირთს ვერავინ გაიტანს, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როდესაც მძღოლები იურიდიულად ყოველმხრივ მართებულ, პრეფექტების ხელმოწერით დამოწმებულ საშვ-ფაქტურას წარმოადგენენ ხოლმე, — ამბობს მლეთის საგუშაგოს მორიგე, მილიციის უფროსი სერჟანტი ოთარ ვარსიმაშვილი, და გვიჩვენებს თელავის რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 12 აგვისტოს № 180 განკარგულებას, რომლის საფუძველზეც ორ ავტომანქანას 14 აგვისტოს გროზნოში რამდენიმე ტონა ატამი მიჰქონდა.

თვალსაჩინოებისთვის სტილის დაცვით მოგვყავს განკარგულების ტექსტი, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე მიეციათ მძღოლისათვის: „ნება დაერთოს თელავის უსინათლოთა საზოგადოების დირექციას გეგმის ზევით გამოშვებული ქილის სახურავი, ერთი მილიონი ცალი გასცენ ქალაქ გროზნოში არსებულ კოოპერატივ „როშნიზე" ნედლეული პოლიეთილენზე გაცვლის ოპერაციების საწარმოებლად. ასევე ატამი, მსხალი, ვაშლი, ყურძენზე". ხელს აწერს თელავის რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე ზ. წაგნაძე. თავს ვიკავებთ ამ განკარგულების რუსული ტექსტის პუბლიკაციისაგან, რომელიც ენის უცოდინარობის თუ უწიგნურობის გულსატკენი ნიმუშია.

მერწმუნეთ, ნამდვილად გული მტკივა, როდესაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რაიონების პრეფექტების ნებართვით, სხვადასხვა სახის პროდუქცია გააქვთ და მის სანაცვლოდ, ძირითადად ლუდი და უცხოური სიგარეტი შემოაქვთ, — ამბობს რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის ცალკეული ბატალიონის „კავკასიონის" მოტორიზებული ოცეულის მეთაური, მილიციის ლეიტენანტი ამირან ძღენტი. — სხვაგვარად იქცევა ჩვენი მეზობელი სომხეთი. მათ დიდი რაოდენობით შეაქვთ რესპუბლიკაში სურსათი და საშენი მასალები, სარგებლობენ ჩვენი ავტომაგისტრალით, დარიალის ხეობის გავლით უკავშირდებიან მათთვის სასურველ რეგიონებს. მარტო საბაჟოს შემოსავალი საკმარისი არ არის. ჩვენი პროდუქცია ხელსაყრელ პირობებში უნდა გაიცვალოს. ამასთან მკაცრად უნდა განისაზღვროს იმ საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც ნებადართული იქნება. ტვირთის კონტროლის გარდა მლეთისა და დარიალის საგუშაგოები, რომლებთაც ჩვენი ოცეული ემსახურება, გზას უჭრიან ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანას. 12 აგვისტოს მლეთის საგუშაგოზე მილიციის კაპიტანმა შოთა სინჯარაძემ და უფროსმა სერჟანტმა ოთარ ვარსიმაშვილმა დააკავეს ერევანში მცხოვრები არტურ ალბერტის ძე მნაცაკანიანი, რომელსაც საკუთარი „ჟიგულით" ნარკოტიკული ნივთიერება მოჰქონდა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მის მსგავს გარეწრებს მუდამ დახშული ექნებათ ჩრდილოეთის საზღვარი.

საქართველოს ჩრდილოეთის სასაზღვრო საკონტროლო-საგუშაგოებზე სამდღიანი მორიგეობის ანალიზმა კითხვა დაბადა. მათ შორის უმთავრესია: როგორ ახერხებს ჩვენი მეზობელი სომხეთი ასტონობით სურსათის და საშენი მასალის შემოზიდვას, როცა ჩვენი საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ძირითადად, მხოლოდ ლუდსა და სიგარეტს სჯერდებიან. ნუთუ საქართველოს ზოგიერთი რაიონის პრეფექტურებს მხოლოდ ეს პროდუქცია სჭირდებათ?

ღრმა განსჯას მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ტელევიზიით, რომელიც 17 და 18 აგვისტოს მოვისმინეთ. მან ყოველმხრივ გააანალიზა რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე ეკონომიკური კრიზისის მიზეზები და მოუწოდა ყველას პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქმეს.

საქართველოს ბუნება, წიაღისეული რესურსები, ღვთით კურთხეული მდიდარი, ბარაქიანი მიწა განუსაზღვრელ პოტენციალს ფლობს. ამ დოვლათის ხალხის სასარგებლოდ გამოყენებას გონივრული, პატრიოტული სულისკვეთება სჭირდება. მისი უყაირათოდ ფლანგვა-განიავება ღალატის ტოლფასია.

სწორედ ამ მტკივნეული პრობლემის მოწესრიგებას ისახავს მიზნად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ.

აღნიშნული ბრძანებულება უფლებას ანიჭებს საკონტროლო საგუშაგოებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური ლიცენზიის გარეშე არ დაუშვან რესპუბლიკიდან საქონლის გატანა.

რობერტ ცუცქირიძე,
საქინფორმის კორ.

ყაირათიანად მოვუაროთ იმას, რაც გვაქვს

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 16 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ". ამ ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა მთავრობის კომისია საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ბაქარ გულუას თავმჯდომარეობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომისია განსაზღვრავს და დაამტკიცებს იმ ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხას, რომლის გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იკრძალება, აგრეთვე იმ საქონლის ნუსხას, რომლის გატანაც მოხდება რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით.

მთავრობის კომისიის წევრებს დაევალათ შეიმუშაონ და რესპუბლიკის მთავრობაში დასამტკიცებლად შეიტანონ რესპუბლიკიდან საქონლის გატანის ნებართვის გაცემის დებულება.

საქინფორმი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა

საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გამო, რომ 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენების დროს ე. წ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბოლოოდ გამოააშკარავა თავისი ანტიხალხური და ანტიეროვნული ხასიათი, ამასთან იგი ფაქტობრივად არ ეწევა არავითარ სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას და დღემდე მის საკუთრებაში არსებული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" მთლიანად თვით რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და შრომით რესურსებზეა დამოკიდებული, ყოფილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გამგებლობაში.

• • •

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" დირექტორად დანიშნულია **ნოდარ კაპიტონის ძე ჯაველიძე.**

საკუთარ სახლში

„სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერია"

ნაგები — არის ასეთი სოფელი გარდაბნის რაიონში. ყველაზე ძველი და ყველაზე ახალგაზრდა, — ასე უწოდებენ მას. და სამართლიანადაც. მემატიანე ამბობს: ამ მიდამოებში საკმაოდ მძლავრი, მკვიდრად ნაგები ქართული სოფელი ყოფილა. სახელწოდებაც აქედან წარმომდგარა. არაბების შემოსევისას ფერფლად ქცეულა და მას შემდეგ საუკუნეები თვლემდა ღრმა ძილით. უახლოეს პერიოდში აღდგა მკვდრეთით, ფენიქსისებრ განახლდა. ახლა ნაგები ერთ-ერთი რაციონალურად დასახლებული სოფელია. აქ ჩამოსახლდნენ ოჯახები სვანეთიდან, საქართველოს ჩრდილოეთიდან, სადაც ისინი ჭარბად იყვნენ და უჭირდათ.

ნაგების მეცხოველეობის მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აგრობანკში მის ანგარიშზე საკმაოდ დიდი თანხები შედის. იგი მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაჭრას ხმარდება. მაგალითად, ამ თანხებით ააგეს კულტურულ-სპორტული კომპლექსი, იგი სვანური კოშკია, რომელიც ხუთ-ექვსსართულიანი სახლის სიმაღლისაა. აქ განლაგებულია კლუბი, ბიბლიოთეკა, ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის, სპორტული დარბაზი. აქ ბინა დაიდო სოფლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რომელიც უკვე გამდიდრდა ექსპონატებით. იგი ზუსტად წარმოაჩენს სოფლის ისტორიას: როდის და საიდან მოვიდნენ აქ მისი მოსახლენი, როგორ აშენებენ ისინი ახალ სოფელს.

...ჩვენ კოშკის უკანასკნელ სართულზე ავედით ხის კიბით, რომელიც რუდუნებით გაუთლიათ და უძველესი ქართული ორნამენტებით დაუმშვენებიათ თანამედროვე ოსტატებს. აქედან ჩვენს თვალწინ გადაიშალა მთელი ნაგები და მისი სანახები. ქუჩები ისარივით სწორია და ორივე მხარეს ჩამწკრივებულა ორსართულიანი კაპიტალური სახლები. ამჟამად სოფლის მარჯვენა მხარე კვლავ სამშენებლო პოლიგონს წარმოადგენს. აქ სტიქიისაგან დაზარალებულ სვანთათვის შენდება რამდენიმე ათეული სახლი. ისინი უკვე გადახურულია. მიმდინარეობს შიგა სამუშაოები. ზოგს ახალმოსახლეობაც აღუნიშნავს.

კოშკის სიმაღლიდან მოჩანს აგრეთვე საშუალო სკოლის, საბავშვო ბაგა-ბაღის, კავშირგაბმულობის, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც მარადმწვანე და დეკორატიული მცენარეებს ზრდასრულობისათვის არ მიუღწევია, მხატვრულად არის გაფორმებული მგზავრთა მოსაცდელი და წყარო. მგზავრობა კი აქაური გლეხკაცისათვის ერთობ გაიოლებულია. სოფლის ცენტრამდე გაგრძელდა რუსთავის მეოთხე მარშრუტის ავტობუსის ხაზი, აქ დადიან აგრეთვე ავტობუსები ჯანდარისა და გარდაბნის მიმართულებით. ერთი სიტყვით, ამ ჭეშმარიტად ნორჩ სოფელში ცხოვრება ჩქეფს. სოფელში გამრავლდა ქორწილები. ერთ წელიწადში 20-ზე მეტმა წყვილმა დაუკავშირა თავისი ბედი ერთმანეთს, ოცდაათამდე ჩვილი შეემატა სოფელს.

გარდაბნის რაიონის რუკაზე უკანასკნელ წლებში ნაგების მხარდამხარ გაჩნდა კიდევ რამდენიმე ახალი სოფელი და დასახლება. მათ შორისაა ლემშვანიერა, სადაც ხუთასამდე სტიქიისაგან დაზარალებული სვანის ოჯახი დამკვიდრდა, აგრეთვე თბილწყარო, კრწანისის ახალი დასახლებები სვანი და აჭარელი ოჯახებით, ახალი ქართული დასახლება გაშენდა ვაზიანთან ახლოს, მუხროვანში...

— ამ მხრივ მუშაობა კვლავაც ფართოვდება და ძირძველ ქართულ მიწაზე იმრავლებს ქართული ჯიში და ჯილაგი, — სიამაყის გრძნობით განაცხადა გარდაბნის რაიონის პრეფექტმა რევაზ ონიანმა.

დავით ივანიძე,
საქინფორმის კორ.

ცეცხლთან თამაში სახიფათოა

ცნობილია, რომ ბავშვები თამაშობა-გართობის დროს ხშირად ანთებენ ასანთს, ნავთქურას, კოცონს, ქსელში რთავენ ელექტროხელსაწყოებს. ცხადია, ამას ბავშვობით შვრებიან და, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებენ იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მათ გულუბრყვილო მოქმედებას.

ცეცხლთან მოთამაშე ბავშვები ხშირად ხანძრის გაჩენის მიზეზი ხდებიან, რაც სავალალო შედეგით მთავრდება: ადამიანები იღებენ სიდამწვრეს, სამუდამოდ მახინჯდებიან, ან კვამლში იგუდებიან და ცეცხლშიც კი იღუპებიან ხოლმე.

ზემოთქმულის დასადასტურებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ბავშვების ცელქობა-თამაშის შედეგად ხანძარი გაჩნდა დაბა ლესელიძეში, რუსთაველის ქ. № 67, მოქალაქე იხმელიანის საცხოვრებელ სახლში. დაიღუპა 1944 წელს დაბადებული ვ. ბ. იხმელიანი.

ქ. სოხუმში რუსთაველის ქუჩის № 5 სახლში მცხოვრები 1978 წელს დაბადებული თ. ი. კუბაევი ცეცხლთან თამაშის შედეგად სამედიცინო დაწესებულების რეანიმაციის განყოფილებაში აღმოჩნდა სახისა და სხეულის დამწვრობით.

ქ. თბილისში მესამე მასივის მე-10 კვარტალის მე-6 კორპუსში მცხოვრებმა 36 წლის მ. შ. ღარიბაშვილმა დაინახა, თუ როგორ მოუკიდეს მისმა ბავშვებმა ნაგავს ცეცხლი, შეშინებული მშობელი შეეცადა ხანძრის ფეხით ჩაქრობას, რის გამოც მიიღო დამწვრობა.

გლდანის მასივის ა/მ 65 კორპუსში მცხოვრებმა მოქალაქე გ. ბ. ხაბეიშვილმა ბავშვების ცეცხლთან თამაშის შედეგად მიიღო ხელის დამწვრობა.

წლეულს რესპუბლიკაში რეგისტრირებულია ბავშვთა მიზეზით გამოწვეული 399 ხანძარი, რომლებმაც 203237 მანეთის მატერიალური დოვლათი გაანადგურეს. ადამიანი შეიწირეს.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ სახანძრო დაცვისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ ბავშვების ცეცხლთან ცელქობა-თამაშის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, არ აბამენ ამ საქმეში საზოგადოებრიობის ფართო მასებს, სუსტად იყენებენ პედაგოგებს, მშობელთა აქტივს, ადგილობრივ პრესას და რადიომაუწყებლობას ყმაწვილებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო აგიტაციის გასაწევად.

სახანძრო დაცვისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ადგილობრივმა ორგანოებმა ფართოდ უნდა გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში, ამ საქმეში ჩააბან აღმზრდელები, პედაგოგები, მშობელთა აქტივი. სკოლებში უნდა მოეწყოს ხანძარსაწინააღმდეგო კუთხეები, გაიკრას საგიტაციო პლაკატები, ლოზუნგები, სტენდები და დამყარდეს სანიმუშო ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი.

ოჯახში პატარებს მუდმივ მეთვალყურეობას უნდა ვუწევდეთ. ბავშვებს უნდა დავუმალოთ ასანთი თუ კვესი, უნდა ავუკრძალოთ ცეცხლთან თამაში. არ უნდა დავავალოთ ნავთქურის, ღუმლის ანთება ელექტროსახურებელი ხელსაწყოების ქსელში ჩართვა.

ბავშვების ცეცხლთან ცელქობა-თამაშის წინააღმდეგ ბრძოლა კამპანიური ხასიათის ღონისძიება როდია. ეს მუშაობა მუდმივად უნდა წარმოებდეს და მასში უნდა მონაწილეობდნენ არა მარტო სახანძრო დაცვის მუშაკები, არამედ ოჯახიც, სკოლაც, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობა.

ა. მახარაშვილი,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ინსპექტორი, შს სამსახურის უფროსი ლეიტენანტი.

საქინფორმი.

პრობლემა

მიგრაციული პროცესების რეგულირება— სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე

მიგრაციული პროცესების რეგულირება თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი უმძიმესი მემკვიდრეობითი პრობლემაა. მიწისძვრით დაზარალებული, ახლაც უსახლკარო ოჯახი საკუთარი ჭერის, მიწის ნაკვეთის მიღების მოლოდინში წლების განმავლობაში ამაოდ ათენ-აღამებს....

„რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის განსახლების პრობლემებმა, შიდა მიგრაციულმა და საერთო იმიგრაციულ-ემიგრაციულმა პროცესებმა ფართო მასშტაბები მიიღეს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათი საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე შესწავლისა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი მიღების აუცილებლობას. მოსახლეობის განსახლების პრობლემები, არსებულ ეკონომიკურ სიძნელეებთან ერთად, მძიმე ტვირთად დააწვა რესპუბლიკას".

„საქართველოს რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების რეგულირების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. წ. 16 ივლისის ბრძანებულებიდან მოტანილი ეს სიტყვები, ფაქტობრივად სრულად ეხმიანება რესპუბლიკაში არსებული რთული სიტუაციების გამო გამოწვეულ ჩვენს სატკივარსა და საფიქრალს.

მიწისძვრით დაზარალებული — პრობლემა. მან მთელი სიცხადით დააყენა ჩვენს წინაშე მიგრაციული პროცესების გადაწყვეტის მეტად რთული ამოცანა და, განსაკუთრებით, გასული წლების სტიქიური უბედურებების შემდეგ.

ამ საქმეში საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელება ითვალისწინებდა როგორც დაზარალებული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში განსახლებას, ისე იმ გარემოებების გათვალისწინებასაც, რომ საქართველოს მცირემიწიანობა და მოსახლეობის განსახლების საკითხები უშუალოდ უკავშირდება მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, ტერიტორიის ტევადობის შეზღუდულობას.

1967 წლიდან, როცა სტიქიური უბედურებები საქართველოში ფართო მასშტაბებით დაიწყო, ყოფილი მთავრობის, ცალკეული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მცდელობით მთელი რიგი სამუშაოები ხორციელდებოდა დაზარალებული ოჯახების განსახლებისათვის. თუმცა, გაწეული საქმიანობა, გულახდილად თუ ვიტყვით, თავიდანვე საკმაოდ სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა. დაზარალებულებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, განსახლების სახელმწიფოებრივი სქემის შედგენა, კონკრეტული სამუშაოების განხორციელება და მრავალი სხვა, შეიძლება ითქვას, „სოციალისტური სახელმწიფოს", მისი პოლიტიკის, ხალხისადმი „მშობლიური" ზრუნვის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა, როცა საკმაოდ იოლად შეიძლებოდა პრობლემიდან თავის არიდება, ანდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეების ცალკეული რაიონების ხელმძღვანელებისა და საქველმოქმედო საზოგადოებებისათვის გადაბარება.

ამიტომაც, დღეს თავისუფლების გზაზე მდგომ საქართველოს მძიმე ტვირთად დააწვა მოუგვარებელი, გადაუწყვეტელი საკითხების მთელი ჯაჭვი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიგრაციულ პროცესებში მოხვედრილმა ადამიანებმა, დაკარგეს ადამიანი-შემქმნელის, ადამიანი — მშრომელის ფუნქცია და გუშინდელი ამაყი, გამრჯე, შრომისმოყვარე მთისა თუ ბარის მკვიდრი, ჩვენივე წინამორბედების ხელშეწყობით სხვისი ხელის შემყურე, უსახლკარო, გატანჯული, რწმენადაკარგული გახდა. ალბათ, დიდი ძალისხმევა მოგვიხდება, რომ ისინი მამა-პაპისეული ცხოვრების ტრადიციულ კალაპოტს დავუბრუნოთ.

ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ დაზარალებული ოჯახების ნაწილი, 1987 წლიდან დღემდე, მათთვის აშენებული სახლების სანახავადაც კი არ ჩასულა. სამწუხაროა, რომ ბევრი მათგანი არ ითვალისწინებს რესპუბლიკის რთულ ეკონომიკურ სიტუაციას და ეწუნებს სახლს სხვადასხვა წვრილმანი მიზეზების გამო.

არადა, წინამორბედ მთავრობას რომ მიეღო სათანადო გადაწყვეტილება მათთვის სახლების მშენებლობისათვის მასალების გამოყოფასა და მომარაგებასთან დაკავშირებით, სვანები და აჭარლები თვითონვე, თავიანთი გემოვნებისა და საჭიროების მიხედვით ააშენებდნენ საცხოვრებელს. ამჟამად კი, მათთვის განკუთვნილ სახლებს პრეტენზიული თვალით უყურებენ.

დიახ, ვიმეორებთ, საზრუნავი და საფიქრალი მრავალი გვაქვს. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ ბოლომდე გადაუჭრელია აჭარისა და სვანეთის მთიანი რეგიონებიდან, დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებლებით დაკმაყოფილების საკითხები, რადგან ჩასასახლებელი 4650-მდე ოჯახიდან, დღეისათვის მხოლოდ 1915-ია დაკმაყოფილებული.

მარტო აჭარის მთიანი რეგიონიდან გეგმიური ჩასახლებით გათვალისწინებული 3355 ოჯახიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ 2200 დაბინავდა. ამას მრავალი მიზეზი აქვს. უწინარეს ყოვლისა, არადამაკმაყოფილებელია საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტემპები. საჭირო 4649 სახლიდან აშენებულია მხოლოდ 2320, საძირკველი ჩაეყარა — 497-ს, არაა დაწყებული — 583, დამთავრების პროცესშია 1171 ობიექტი. მარტო თეთრი წყაროს რაიონში აშენებულია მთელი რაოდენობის მხოლოდ 27,1 პროცენტი. საერთოდ, განვლილი პერიოდის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი ობიექტის მშენებლობა არ დაწყებულა წალენჯიხის (21 სახლი), ბოლნისის (27), ყვარლის (11), კასპისა (16) და სხვა რაიონებში.

აღნიშნულის გარდა, ოჯახების გარკვეული რაოდენობა უარს აცხადებს უკვე დამთავრებულ სახლებში ცხოვრებაზე. აჭარის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, შუახევის რაიონიდან საგარეჯოში 100 ოჯახი უნდა ჩასახლებულიყო. მათგან მხოლოდ ორი დამკვიდრდა. ხულოს რაიონის მოსახლეობა უარს აცხადებს ბორჯომში ცხოვრებაზე. მარტო თეთრი წყაროსა და გარდაბნის რაიონებში დღეისათვის 300-მდე ოჯახი ჩაუსახლებელია.

აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავი იჩინა გასული წლების არასწორი დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგმაც. არაქართული რაიონების ძირითადი ეროვნების მოსახლეობით გაჯერების მიზნით, ხელოვნურად ხდებოდა თითოეული კომლის წევრებად დაყოფა და მათთვის ცალ-ცალკე, სახელმწიფო სახსრებით, ბინების მშენებლობა. ფაქტობრივად, ოჯახების ნაწილი კვლავ ადგილზე რჩებოდა და, ამიტომაც, დღემდე უპატრონოდაა მიტოვებული მათთვის აშენებული სახლები.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სვანეთიდან ჩამოსახლებულ ოჯახებთან დაკავშირებით. ბევრი მათგანი, აშენებულ სახლებში ცხოვრებაზე უარის თქმასთან ერთად, მის საფასურს ითხოვს. საკითხის დროული გადაწყვეტის მიზნით საჭიროა ამ კატეგორიის ოჯახებს, შეუსახლებლობის შემთხვევებში, ჩამოერთვათ აშენებულ სახლებში ცხოვრების უფლება და სურვილის შემთხვევაში, გარკვეული თანხა მიეცეთ სესხის სახით.

რაც შეეხება ა. წ. აპრილ-ივნისის მიწისძვრებით დაზარალებულ ათეულობით ოჯახს, რომელთა ცხოვრება ადრინდელ ტერიტორიებზე შეუძლებელია, მათ უნდა გაუუქმდეთ კომლები სოფლებში და ჩასახლდნენ ახალ საცხოვრებელ ადგილებში. ამასთან, ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია რაჭის რაიონებიდან ისეთი ოჯახების ხელაღებით ჩამოსახლება, რომელთა ადგილებზე დატოვება და ცხოვრება ხიფათთან არ არის დაკავშირებული.

იმიგრანტი — პრობლემა. უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა კავშირები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შექმნილ ქართულ სათვისტომოებთან. სწორედ მათი თანადგომით ხორციელდება მუშაობა ემიგრაციაში მყოფ ქართველ ოჯახებთან, რომელთა გარკვეული ნაწილი, ამ ბოლო დროს, გამოთქვამს სამშობლოში დაბრუნებისა და ცხოვრების სურვილს.

ტელეფონის ზარები, ფიზიკური შეურაცხყოფა, შანტაჟი და მრავალი სხვა აიძულებს ჩვენს თანამემამულეებს აიყარონ საცხოვრებელი ადგილიდან და თავშესაფარი სამშობლოში, მშობლიურ მიწაზე ეძიონ. აღნიშნულის თაობაზე კონკრეტული მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ის დეპეშა, რომელიც ვლადიკავკაზში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს ჩარბოდაშვილს გაუგზავნეს მისმა „კეთილმოსურნეებმა", გვინდა გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ:



Тов. ЧАРБОДАШВИЛИ!

Срочно требуем у ВАС, принести на ул. Бутырина (район магазина "Глобус") сумму в количестве 9 тысяч рублей (девять тысяч рублей).

В случае отказа заплатите кровью.

Срок устанавливаем до 20 мая 1991 года, к 22 часам 15 мин. (около магазина "Глобус").

Здесь
ул. Карпинское шоссе
N 4 кв. 46

სამწუხაროა, რომ სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონებში მომხდარი ეთნოკონფლიქტების დროსაც, ხშირ შემთხვევებში, ისევ ქართული ოჯახები იჩაგრება. მარტო ჩრდილოკავკასიიდან 250-მდე ოჯახის განცხადება შემოვიდა სამინისტროში, რომლებშიც მათი წევრები რესპუბლიკაში დასახლების უფლებას ითხოვენ. მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც აიძულებენ უსასყიდლოდ, გაცვლის უფლების გარეშე, მიატოვონ საცხოვრებელი სახლები.

სამინისტრომ, რიგი რაიონების მმართველობით ორგანოებთან ერთად, ბევრი გააკეთა მათი განსახლებისათვის, მაგრამ საკითხის მთლიანი გადაწყვეტა ისევ და ისევ საცხოვრებელი სახლების სიმცირით, არსებულის არარაციონალურად გამოყენებით ფერხდება.

ამას სხვა თავსატეხიც ემატება. ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულთა შორის ისეთი ოჯახები არიან, რომლებმაც ადრე ყაზბეგის რაიონში დატოვეს და ახალ საცხოვრებელ ადგილზე შეიძინეს საცხოვრებელი სახლები. დღეს კი ითხოვენ და სხვადასხვა გზებით ახერხებენ კიდეც რესპუბლიკის რაიონებში ბინების გაცვლას. მათ მამა-პაპისეულ კარმიდამოს ან აგარაკად იყენებენ, ან გაუკაცრიელება ელოდება.

თუმცა თუ ღრმად გავაანალიზებთ ვითარებას, ყველა ზემოთ თქმულთან ერთად, ჩვენი სირთულეები გარკვეულად ემიგრაციულ პროცესთან დაკავშირებული პრობლემები გახლავთ.

ჩვენი აზრით, მთავარია, მთელი საბინაო ფონდის ცენტრალიზაცია, განაწილებაზე მკაცრი კონტროლი და, განსაკუთრებით, ემიგრაციის მსურველი ოჯახების საბინაო ფონდების შესყიდვა-განაწილების სწორად ორგანიზაცია. მითუმეტეს, რომ საორიენტაციოდ, ასეთი სახლების რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია რიგი რეგიონების და, ამ შემთხვევაში, დმანისის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელების მიერ ბინების შეძენა-რეალიზაციის მანკიერი პრაქტიკა. უკანასკნელ ხანს აქ შესყიდული იქნა დაახლოებით 770-მდე სახლი (აქედან თვით ქალაქში — 425).

სამწუხაროდ, აქ გამეფებული ქაოსის, განუკითხაობის, უკონტროლობის გამო ვეცადეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა ბინების შემსყიდველი და გამანაწილებელი კომისიების შექმნის საფუძველი, აღნიშნული კატეგორიების ბინების რაოდენობა, სახლების შესყიდვის, მათი ღირებულების განსაზღვრის მექანიზმი, განაწილების კრიტერიუმები.

ამის მიუხედავად, აქ საკმაოდ ფერხდებოდა სახელმწიფო სახსრებით შეძენილი ბინების განაწილება მსურველის განცხადებით ან, მასთან სიტყვიერი შეთანხმებით (ყველა შემთხვევაში, ალმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე), კომისიების თავმჯდომარეებისა და რაიონის ხელმძღვანელის ნება-სურვილითა და ურთიერთმოლაპარაკებით.

ამ გზით დმანისში მარტო სოფლებიდან, ყოველგვარი ჩაწერა-ამოწერის გარეშე, საცხოვრებლად გადმოვიდა 160-მდე ოჯახი, 75 — თვითნებურად შეიჭრა საცხოვრებელ სახლში, 42 შემთხვევაში ოჯახის ერთი წევრი ჩაწერილია დმანისში, მეორე — კვლავ სოფლად. მარტო ოთხ სოფელში შეძენილი 300-მდე სახლი უპატრონოდაა მიტოვებული. მათ ნაწილში კვლავ რაიონის სხვადასხვა სოფლის მკვიდრნი დასახლდნენ, ნაწილი კი იძარცვება.

ხშირ შემთხვევებში აღნიშნული კატეგორიის ოჯახები უპატრონოდ (ამოწერის გარეშე) ტოვებენ საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს. მარტო ბორჯომის რაიონში, გუჯარეთის ზონის 9 სოფელში მიტოვებულია 300-მდე სახლი. ფაქტობრივად, მთლიანად დაცლილია დაბა მიტარბი, ნაწილობრივ — დაბა ბაკურიანი.

რესპუბლიკიდან წამსვლელთა პარალელურად, საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობის შიდა რესპუბლიკურმა მიგრაციამ. ეს პროცესი განსაკუთრებით შეიმჩნევა ბაკურიანსა და მიტარბში. თბილისელების გარკვეული რაოდენობა ყველა საშუალებით ცდილობს, საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს საგარაკო სახლები და დასამალი არაა, რომ ეს კაპიტალდაბანდების საკმაოდ საიმედო წყაროს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, დღევანდელი საქართველოს რთული ეკონომიკური და ზემოაღნიშნული დაძაბული ვითარება რომ არა, შეიძლება სიტყვაც არ დაგვეძრა მათზე, მაგრამ, გვერწმუნეთ, ძალზე ძნელია დღეს შეეგუო ულამაზესი, უძველესი სოფლების გაპარტახებას, სკოლების, ბაგა-ბაღების დახურვას, დასახლებების, მათი სავარგულების საგარაკო ზონებად გადაქცევას, ამ მიზნით აქ მიმდინარე მშენებლობებს, როცა, მაგალითად, გაჭირვებით ნაშოვნი ერთი აგური, ერთი ფიცარიც კი მზად ვართ გავუგზავნოთ თუნდაც რაჭის რეგიონში სტიქიით დაზარალებულ ოჯახს.

საკითხის შესწავლის დროს ანალოგებს სხვაგანაც წავაწყდით და სამაგალითოდ თეთრი წყაროს რაიონი გვინდა მოვიყვანოთ. აქ 14 სოფლის 500-მდე ოჯახმა გადაწყვიტა რესპუბლიკიდან წასვლა. გამოჩნდნენ მათი სახლების შეძენის მსურველებიც. წინასწარი მონაცემებით, 100-ზე მეტმა პირმა გაიფორმა კიდეც, ზოგმა მუდმივ საცხოვრებლად სახლები, ზოგმა იჯარის წესით — სახლების საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

ერთი შეხედვით, აქ საგანგაშო არაფერია, მაგრამ მათ გაფორმებასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, სახლების ახალ მფლობელთა უმრავლესობას აქაც თბილისელი მოქალაქეები შეადგენენ და მათი დიდი ნაწილი საპენსიო ასაკის გახლავთ.

ამასთან, სოფლები დგას საგარაკო ტიპის დასახლებებად გადაქცევის, მეურნეობის დეფიციტისა და მათთვის დამახასიათებელი პროფილის სასოფლო-სამეურნეო ფუნქციების დაკარგვის საშიშროების წინაშე, რომ არაფერი ვთქვათ დემოგრაფიული სურათის გაუარესებასა და მასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე.

ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ელოდება ასობით უსახლკარო, გაჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახი. თვით აღნიშნულ რეგიონში ჯერ არ დაწყებულა სვანეთისა და აჭარის მთიან რაიონებში სტიქიით დაზარალებული ოჯახების ჩასახლებისათვის გათვალისწინებული 50-ზე მეტი სახლის მშენებლობა.

აღნიშნულ სფეროში სათანადო სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით, სამინისტრომ უნდა შეძლოს პრეფექტურებისა და საკრებულოების ამ მიმართებით გაწეული საქმიანობის ურთიერთშეჯერება. მითუმეტეს, რომ რიგ რაიონებში ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა უკვე განახორციელეს საკმაოდ ეფექტური ღონისძიებები.

მაგალითად, გორის პრეფექტურაში შეიქმნა საბინაო საკითხების დროებითი კომისია, რომელიც საცხოვრებელი სახლების უკანონო გასხვისებისა და საცხოვრებელი ფართიან მოქალაქეების ამოწერის გარეშე გამგზავრების თავიდან აცილების მიზნით, პრეფექტურის ფონდიდან, ერთდროული დახმარების სახით, წამსვლელ ოჯახებს აძლევს განსაზღვრული ოდენობის თანხას და, არსებული კანონმდებლობის წესების სრული დაცვით, ისტუმრებს რესპუბლიკიდან. მცხეთის რაიონის პრეფექტურამ, პირად საკუთრებაზე შემდგომში პრეტენზიების განცხადების თავიდან აცილების მიზნით, დროულად შეაჩერა სათანადო გაფორმებისა და ამოწერის გარეშე ოჯახების ემიგრაციის შემთხვევები.

ერთი სიტყვით, ახლადშექმნილ სამინისტროს მრავალი მტკივნეული პრობლემა და საკითხი აქვს გადასაწყვეტი. ფაქტობრივად, მას მთლიანად გადაეცა რესპუბლიკის სტიქიით დაზარალებული რაიონებიდან, იმიგრაციის შედეგად ჩამოსახლებული ადამიანების ბინებით უზრუნველყოფის, ლტოლვილების, მრავალშვილიანი, ხელმოკლე და ახალგაზრდა ოჯახების სოციალური დაცვის ფუნქცია.

ამჟამად, ხელთ გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების რეგულირების შესახებ". მისი ძალით სამინისტროს უფლება ეძლევა, რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ქმედითი დახმარებით, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებით შეისყიდოს სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახებისათვის აშენებული, სუბიექტური (რიგ შემთხვევებში, ობიექტური) მიზეზებით აუთვისებელი, ემიგრაციის მსურველი (რიგ შემთხვევებში, უკვე ემიგრირებული) ოჯახების საცხოვრებელი სახლები (ბინები), შექმნას საგანგებო საცხოვრებელი ფონდი და მოახდინოს ფონდში არსებული სახლების (ბინების) მიზნობრივი განაწილება.

ამ საქმეში რაიონებისა და ქალაქების პრეფექტურების დახმარების დიდი იმედი გვაქვს. პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, საჭიროა დაჩქარდეს უკვე აღნიშნული მმართველობითი ორგანოების მაგალითისამებრ, სპეციალური კომისიების შექმნა, რომლებიც ადგილებზე მომუშავე ჩვენი სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, მოახდენენ რესპუბლიკაში იმიგრაციის მსურველთა აღრიცხვას, სათანადო წესით მათი სახლების გაცვლასა და გაფორმებას.

ერთობლივად სათანადო წესრიგის დამყარების, მკაცრი კონტროლის განხორციელების აუცილებლობაზე თუნდაც იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ შესასყიდ სახლებთან შედარებით, ახალი მშენებლობა რესპუბლიკას 1,5-2-ჯერ ძვირი დაუჯდება. არაფერს ვამბობთ კომუნიკაციების გაყვანასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობებთან დაკავშირებულ ხარჯებზე და ამავე დროს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ მემკვიდრეებს არ გააჩნიათ შესაბამისი დიდი მასშტაბების მშენებლობისათვის საჭირო მატერიალური რესურსები.

საქართველოს ფართო საზოგადოებრიობა დიდად დაინტერესებულია, თუ როდის, რა გზითა და საშუალებებით გადაწყდება პრეზიდენტის ბრძანებაში აღძრული საკითხები. სამინისტრო ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს, მზადდება მეტად საჭირო დებულებების პროექტები საგანგებო საცხოვრებელი ფონდის შექმნის წესის შესახებ, შესყიდული სახლების განაწილების შესახებ, მიტოვებული და ემიგრირებული ოჯახების სახლების (კომუნალური ბინების) შესყიდვის წესის შესახებ, ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიების ფუნქციების შესახებ, სახელმწიფო ფონდის მეშვეობით რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში საგარაკოდ შეძენილი ემიგრირებული ოჯახების სახლების შესყიდვის წესის შესახებ, სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახებისათვის აშენებული, მშენებლობადაუმთავრებელი და სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით აუთვისებელი სახლების საგანგებო საცხოვრებელ ფონდში გადაცემისა და შემდგომში მათი გამოყენების წესის შესახებ და მრავალი სხვა.

მათი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის კონკრეტული, ქმედითი დახმარების გაწევის აუცილებლობიდან გამომდინარე, ვთხოვთ მკითხველებს აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით მათი სურვილები და წინადადებები დროულად გვაცნობონ, რათა გვქონდეს გაცნობისა და, შესაბამისად, გამოყენების საშუალება.

ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემის გადაწყვეტაში რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, რაიონებისა და ქალაქების მმართველობითი ორგანოების აქტიური, საქმიანი დახმარების, თანადგომის იმედი გვაქვს და რაც უფრო კონკრეტული იქნება იგი, მით უფრო დროულად გადაიჭრება მტკივნეული საკითხები.

თამაზ ბუბუშვილი,
შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი.

ღია ბარათი

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს

ბატონო ვახტანგ!

ფორმა თქვენდამი მიმართვისა, რომელიც ახლა ავირჩიე, ცხადია, კანონით არ არის გათვალისწინებული. საპროცესო ნორმებით თუ იხელმძღვანელებთ, თქვენ შეგიძლიათ ჩემი ბარათი უპასუხოდაც დატოვოთ. მაგრამ ღრმად მჯერა — ეს სწორედ ისეთი შემთხვევაა, როცა კანონი ამოწურავს საქმის ზნეობრივ მხარეს და პროკურორის დუმილი გამართლებული ვერ იქნება.

1983 წლის 18 ნოემბერს „თვითმფრინავის გამტაცებელთა" ცდის საქმემ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება იმთავითვე მიიქცია, რაც იმ საბედისწერო ღამეს თქვენთვის კარგად ცნობილი მძიმე დანაშაულის ფაქტი გახდა. ისიც კარგად იცით, რომ უზენაესი სასამართლოს განაჩენს წინ უძღოდა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის არაერთგვაროვანი რეაქცია — გულწრფელი თუ ხელოვნურად ორგანიზებული წერილების, განცხადებების, მიმართვების ნაკადი. განაჩენის შემდეგ საზოგადოების ერთმა ჯგუფმა საკუთარი თვალსაზრისი იმით გამოხატა, რომ მაშინდელ ხელმძღვანელობას მსჯავრდადებულთა შეწყალება სთხოვა. ბევრი მათგანი საბოლოოდ დარჩა ამ თვალსაზრისზე, ბევრმა კიდევ, თქვენთვის გასაგები მიზეზების გამო, შეხედულება შეიცვალა.

მას შემდეგ, რაც ადამიანს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება მიეცა, „თვითმფრინავის გამტაცებელთა" თემა არ სცილდება პრესის ფურცლებს. გამოითქვა როგორც არასპეციალისტების, ისე სპეციალისტების თვალსაზრისი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის პირველსავე სხდომაზე ამ საქმის შემსწავლელი კომისია შექმნა, რასაც, სამწუხაროდ, შედეგი ჯერ არ მოჰყოლია.

ამჟამად აშკარად გამოკვეთილია ერთი თვალსაზრისი, მაგრამ ამ თვალსაზრისს დუმილით უვლიან გვერდს ისინი, ვისაც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შესახებ საზოგადოებრივი აზრის სწორი ფორმირება ევალება. დუმილით უვლის გვერდს სუკი, რომელსაც ვითომ ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, თუმცა დღემდე მჯერა, რომ არსებითად იქ დადგინდა განაჩენი; დუმილით უვლის გვერდს პროკურატურა, თუმცა განაჩენი გამოტანილია მისი საბრალდებო დასკვნის შესაბამისად და მასვე ევალება განაჩენების კანონიერებისადმი ზედამხედველობა, ოპერატიული რეაგირება პრესის მასალებზე.

წლების განმავლობაში უამრავი წერილით მივმართე როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს, რათა ეცნობებინათ, აღსრულებულია თუ არა განაჩენი. არც ერთ სახელმწიფო ორგანოს პასუხი არ გაუცია.

განცხადებებით ვერაფერს გავხდი. რაკი უზენაესი საბჭოს კომისიამ მუშაობა ჯერ არ დაუმთავრებია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმისადმი არა მხოლოდ ჩემი პიროვნული, არამედ საზოგადოების ინტერესიც არსებობს, იქნებ თქვენ, რესპუბლიკის პროკურორმა, პრესის მეშვეობით აუწყოთ საზოგადოებას პროკურატურის დამოკიდებულება ამ განაჩენისადმი...

არ უნდა გაუკვირდეთ, თუ მე, მსჯავრდადებული თემურ ჩიხლაძის მამა, ვითხოვ გავიგო, ბოლოს და ბოლოს, რა ბედი ეწია ჩემს შვილს, აღსრულებულია თუ არა განაჩენი, თუ კიდევ შეიძლება რაიმე იმედი მქონდეს.

ვ. ჩიხლაძე,
პერსონალური პენსიონერი.



„აზოტის" რთული პრობლემები

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი" თავისი ტექნიკური შესაძლებლობებით სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილებებს. მაგრამ მის ეფექტიან მუშაობას მეტად უშლის ხელს მაღალი გადასახადები. საწარმოს შესაძლებლობა არა აქვს თავისი ფულით შეიძინოს უცხოური წარმოების მოწყობილობა.

კოსმეტიკური ფანქრების გამოშვებით საწარმომ რამდენადმე გაიუმჯობესა თავისი ფინანსური მდგომარეობა, შესაძლებლობა მიეცა გამოემუშავებინა ვალუტა.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების მოცულობას გაერთიანება ძირითადად ასრულებს სახალხო მოხმარების საქონლის ხარჯზე.

საწარმოს კოლექტივს ბევრი რთული პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაძლიოს კრიზისი და სრული სიმძლავრით ამუშავდეს.

სურათებზე: კოსმეტიკური ფანქრების გამოსაშვები საამქრო; კოსმეტიკური ფანქრების გამომშვები მინიქარხნის შენობა.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დღეს—ხვალისათვის

მიზანი ნათელია

მთავრობის ეს დადგენილება, ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა. დადგენილებაში ნათქვამია: „მიღებულ იქნას ჩოხატაურის რაიონის პრეფექტურის წინადადება და კურორტ ბახმაროში მოქალაქეთა მიერ, გენერალურ დამპროექტებელი ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის" დამუშავებული პროექტების მიხედვით დაიდგას დროებითი სარგებლობის მარტივი ტიპის საგარაკო ხის სახლები იმ პირობით, რომ გენერალური გეგმით გათვალისწინებული განაშენიანების დაწყების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, აღნიშნულ სახლებს მოსახლეობა აიღებს და გადაიტანს მინიშნებულ ადგილზე".

ამ დადგენილების თანახმად პრეფექტურა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ჩოხატაურელებს აიშენონ საგარაკო სახლი ბახმაროზე და ისარგებლონ მისი სიკეთით.

ბატონი მიხეილ მარი გვესაუბრა იმ გეგმებსა და კონკრეტულ საქმეებზე, რაც ახლა ამ რაიონში ისახება და კეთდება.

კერძოდ, მან აღნიშნა:

— მუშაობის დასაწყისშივე ყველგან, რაიონის მნიშვნელოვან უბნებზე ყურადღება კადრების შერჩევაზე გავამახვილეთ, მოვიზიდეთ პროფესიონალები. პირველ რიგში სამართალდამცავი ორგანოების გაჯანსაღებაზე ვიზრუნეთ. მართალია, ამ მხრივ ბევრი არაფერი გვაქვს დასაკვეხი, რადგან დანაშაულობანი როგორც მთელ რესპუბლიკაში, ასევე ჩვენს რაიონშიც საკმაოდ არის, მაგრამ ზოგიერთ სფეროში რაღაც გაუმჯობესება მაინც იგრძნობა.

გარკვეულ ღონისძიებებს ვსახავთ მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში. მოგეხსენებათ, რა დღეში გვაგდებს საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც ცენტრმა მოგვიწყო, მაგრამ გამოსავალი მაინც უნდა ვეძიოთ. ყველა რაიონს აქვს თავისი წიაღისეული თუ სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, რომელთა გონივრული გამოყენება ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. თავიც ვირჩინოთ და რესპუბლიკასაც დავეხმაროთ — აი, ეს არის ჩემი მიზანი.

ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც შეძლებს სასურსათო და სამრეწველო საქონლის შოვნას და შემოტანას, ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ და წავახალისოთ. წავიდა ის დრო, როცა საქმე კომუნისტური ენთუზიაზმით კეთდებოდა. ახლა თუ პიროვნებას, ანუ „მშოვნელს", თუ პირობითად ასე ვუწოდებთ მას, შემოტანილი პროდუქციის მთლიანი მოგების თუნდაც ერთ პროცენტს მივცემთ, მაშინ ის დაინტერესდება და შეეცდება მეტი დეფიციტური საქონელი შემოიტანოს. ეს თუ დაკანონდება, მაშინ ყოველგვარ მახინჯ აღებ-მიცემობას ბოლო მოეღება, თავიდან იქნება აცილებული ნეგატიური მოვლენები.

ჩვენ მოვახერხეთ და რაიონში 90 ტონა შაქარი შემოვიტანეთ, რომელიც მოსახლეობას სახელმწიფო ფასებში მივყიდეთ, ტალონებით დაწესებული მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვის ნორმაც და ნორმაზე მეტიც მივეცით. ასევე შემოვიტანეთ და მოსახლეობას მივყიდეთ ზეთი, კარაქი, ყველი, ხორცი და სხვა პროდუქტები.

სავსებით ვეთანხმები ჩვენი პრეზიდენტის ნათქვამს იმის თაობაზე, რომ ის კოოპერატივები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ, უნდა დაიხუროს. მე, მაგალითად, რაიონში დავხურე ის კოოპერატივები, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე მდიდრდებოდნენ და ხალხს ყვლეფდნენ. მაგრამ ვეხმარები ისეთ კოოპერატივებს, რომელთაც საკუთარი მეურნეობა აქვთ და პროდუქციას ქმნიან.

ბატონმა მიხეილმა თავის საუბარში კიდევ მრავალ საჭირბოროტო საკითხზე გაამახვილა ყურადღება. განსაკუთრებით აღნიშნა, თუ როგორ ჭირს ამ მთიან და უხვთოვლიან რეგიონში ზამთრობით ტრანსპორტის მოძრაობა. ამიტომაც ჩოხატაურელებმა მნიშვნელოვან მოვლენად აღიქვეს ვერტმფრენის რეისის დანიშვნა, რომელიც რაიონს ყოველდღიურად მოემსახურება და მას დედაქალაქთან დააკავშირებს.

ესაუბრა ლარისა ხუბულური.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს წინა სესიაზე შექმნილმა შემთანხმებელმა კომისიამ დეპუტატ ვ. ფილიას მეთაურობით დიდი მუშაობა გასწია იმისთვის, რომ გამოენახა ოპტიმალური გზები ახლანდელ სესიაზე კანონების მთელი პაკეტის მისაღებად, რომლებმაც გამოიწვია სხვადასხვა ეროვნების დეპუტატთა უთანხმოებანი. 27 აგვისტოს გამართული მორიგი სესიის განსახილველად შეტანილი პროექტები კანონებისა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების, აფხაზეთის რეფერენდუმის, თანამდებობის პირთა დანიშვნის, ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ ცხარე კამათის შემდეგ მიიღეს. განხილვის შემდეგ სესიამ უარყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ცუგბას წინადადება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელების სექტემბრამდე გადავადების შესახებ.

სესიაზე გაიმართა პრინციპული სჯა-ბაასი სამხედრო გადატრიალების დღეებში აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების, იმ პოზიციის შესახებ, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ დაიკავა საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის აქ მიღებული დადგენილების მიმართ. ამის გამო ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთვის წაყენებული ბრალდებანი მისმა ხელმძღვანელებმა მთლიანად უარყვეს და უსუსური და პროვოკაციული უწოდეს.

სესიის მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის განცხადება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიამ" 1991 წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნებული პუტჩისტების მოქმედებისა და ღონისძიებების მტკიცე მხარდაჭერის შესახებ. იგი, მათი აზრით, მიიღო რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელობამ პარტიის აქტივთან შეუთანხმებლად და არ გამოხატავდა პატიოსანი რიგითი კომუნისტების უმრავლესობის ნებას. ამასთან დაკავშირებით სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

თენგიზ ჯიბუტი,

საზღვარგარეთ

სხვა გაზეთებიდან

ახალი დემოკრატიული წესები საბჭოთა კავშირში

მიუხედავად იმისა, რომ დასრულდა მიხეილ გორბაჩოვის შინაპატიმრობიდან დაბრუნებასთან დაკავშირებული დრამატული მომენტები, საბჭოთა კავშირის მმართველ ორგანოებში კვლავ საშინელი არეულობაა.

რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, მოლდოვეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები განაგრძობენ ფუნქციონირებას.

აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად საკითხს პოლიტიკური კანონიერების საკითხი წარმოადგენს.

უეჭველია, რომ დასავლეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი. უშედეგო გადატრიალების ცდის კვალდაკვალ ძირეულად იცვლება საბჭოთა პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურა. ბორის ელცინმა უკვე განაცხადა, რომ თავის კონტროლს დაუქვემდებარებს რუსეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს. მან ხელი მოაწერა აგრეთვე ბრძანებას, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მთელი საკუთრება და ეკონომიკა რუსეთის იურისდიქციაში უნდა გადავიდეს.

პრეზიდენტმა ბუშმა ფაქტობრივად ცნო ახალი საბჭოთა სინამდვილე, როცა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „მიხეილ გორბაჩოვი ელცინის მხარდამხარ უნდა იდგესო“. იმავე დღეს, მოგვიანებით, ბატონმა ბუშმა ბრძანა, რომ ტყვეობიდან ახლად დახსნილმა ბატონმა გორბაჩოვმა უნდა ითანამშრომლოს „რესპუბლიკების პრეზიდენტებთან“ და სოლიდარობა გამოუცხადოს უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კრავჩუკს და ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს.

აღნიშვნის ღირსია ბუშის ადმინისტრაციის მართებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რეფორმატორები, რომელთაც თავი დააღწიეს კრიზისს, ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. მაგრამ ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ ამერიკამ ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ ცნობს საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა იმ რესპუბლიკის პოლიტიკურ კანონიერებას, რომლებსაც ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული მთავრობა ჰყავთ. ესენია რუსეთის, სომხეთის, მოლდოვეთისა და საქართველოს რესპუბლიკები. უკრაინასა და აზერბაიჯანში არჩევნები ამა წლის დამლევს არის დანიშნული.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამერიკამ ფორმალურად ცნოს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სრული დამოუკიდებლობა. ამერიკის შეერთებულ შტატებს არასოდეს არ უცვნია ამ რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უკანონოდ შეყვანის ფაქტი და არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ ხელი შევუშალოთ ამ მამაცი ხალხის ბედის ისტორიული კანონზომიერების აღდგენას.

ისტორია დადებითად შეაფასებს მიხეილ გორბაჩოვის პიროვნებას. „გლასნოსტმა“ საბჭოთა ხალხს ხმის უფლება დაუბრუნა. რუსეთის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იგი შუალედურ ფიგურად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მისი მოღვაწეობის ხანა — ეს იყო სტალინის და ელცინის ერა, დიქტატურასა და დემოკრატიას შორის გადებული ხიდი. მაგრამ მან არ მისცა თავის თავს უფლება კვლავ მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. ეს ბატონ გორბაჩოვის საქმეა. და ის, რომ მისი ვარსკვლავი ახლა ისე აღარ ანათებს, მხოლოდ მისი პირადი ტრაგედიაა. ესტაფეტა თანდათან გადადის დემოკრატების ხელში, რომლებიც აქამდე კომუნისტური პარტიის იერიშებს იგერიებდნენ.

ამ ბოლო ხნის მოვლენები მიგვანიშნებს, რომ იწყება ახალი ერა, რომლის დროსაც ერთა თანამეგობრობა ჯეფერსონისეული პრინციპებით განვითარდება, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელისუფალთა უფლებები ხალხის მიერ იქნება დაკანონებული. კომუნისტური დიქტატურისგან გათავისუფლებულმა პოლონეთმა აირჩია ლეხ ვალენსა, ჩეხოსლოვაკიამ — ვაცლავ ჰაველი, აღმოსავლეთ გერმანიამ კი კანცლერობა ჰელმუტ კოლს მიანდო.

მსოფლიოში ურთიერთობის ახალი ფორმების დამკვიდრება, მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცება, რომლის მიზანი ხალხების კეთილდღეობაა, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ცივილიზებული იქნება თვითგამორკვევის პროცესი.

საბჭოთა ხალხმა რესპუბლიკებში გამართული არჩევნებით დაამტკიცა, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს დემოკრატიულ განვითარებაში. ბალტიისპირეთის ხალხებს ყოველთვის ეს ამოძრავებდათ.

ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ამ რესპუბლიკებს ისტორიის გადამწყვეტ მომენტში, — ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ მათი ფორმალური აღიარება, რაც ძლიერი მხარდაჭერა იქნება ხალხისა, რომელმაც არჩევნები მოაწყო და დიდი თავგანწირვა გამოიჩინა. იმისთვის, რომ ერთა თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ, ამ ხალხებმა საერთაშორისო პოლიტიკური აღიარება უნდა მოიპოვონ.

„უოლ-სტრიტ ჯორნელი“.

ფრანსპრესის სააგენტო იუწყება

ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ძალიან ენერგიულად გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვებს, რომლის მიხედვითაც გორბაჩოვმა თვითონ მოაწყო პუტჩი, რათა პოპულარული გამხდარიყო. ეს გამსახურდიამ სი-ენ-ენ-ის კორესპონდენტს განუცხადა. პრესკონფერენციაზე გამსახურდიას სიტყვების თაობაზე ასეთი რეპლიკა გაისმა: „ამას არავითარი საფუძველი არ აქვს“. მანამდე ედუარდ შევარდნაძემაც გაილაშქრა თავისი ძველი მეგობრის, გორბაჩოვის წინააღმდეგ. ყოფილმა მინისტრმა მიანიშნა, შესაძლებელია გორბაჩოვი პუტჩისტების თანამზრახველი იყოსო. ორშაბათს მან განაცხადა: „თუ გორბაჩოვი ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა, მაშინ მან ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგოს“. საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ის უფრო შორს წავიდა: „ვიმედოვნებ, რომ ამ შემთხვევაში გორბაჩოვი არის მსხვერპლი და არა წამქეზებელი, მაგრამ თუ არა, მაშინ ეს ნიშნავს მის ფიზიკურ, მორალურ და პოლიტიკურ სიკვდილს“.

გაზეთი „ლიბერასიონი“,
25 აგვისტო

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ორშაბათს გამოთქვა აზრი, რომ „სსრკში შექმნილი ვითარება რთულია. მე უარს ვამბობ მოვლენათა პოლიტიკურ შეფასებაზე, განაცხადა მან ტელევიზიით. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ სიმშვიდე რესპუბლიკაში და არ მივცეთ მტრულ ძალებს ინტერვენციის საბაბი“.

გუშინ, პუტჩის საბოლოო კრახის შემდეგ, ზვიად გამსახურდია კვლავ ფიქრობდა, რომ „ყველაფერი შესაძლებელია; ჩვენ დიდ სამხედრო ზეგავლენას განვიცდიდით და მე არ ვიცი, რა სურთ რეაქციულ ძალებს, რომელთაც ძალუძთ ხვალ ახალი გადატრიალების მოხდენა. ამიტომ აუცილებელია, რომ დასავლეთის ქვეყნებმა დაუყოვნებლივ ცნონ ჩვენი რესპუბლიკები და დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა“.

ჯორჯ ბუშის ცხარე სიტყვის გამო

მაინც რა მოხდა კიევში ამა წლის 31 ივლისს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გულდრუკი უქმია თავის მეგობარ გორბაჩოვს, სიტყვით მიმართა უკრაინის პარლამენტარებს? ჯორჯ ბუში წინასწარობიდან გამოიყვანა იმან, რომ უკრაინაში ჩაფრენისას, მას ათი ათასობით მოქალაქე დახვდა პლაკატებითა და დროშებით, რომელთა შინაარსი და ლოზუნგები გამოხატავდნენ მოსახლეობის ოპოზიციას გორბაჩოვისადმი, განსაკუთრებით კი სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხში, რომელიც კრემლის ხელმძღვანელს სურს თავს მოახვიოს რესპუბლიკებსა და ანექსირებულ სახელმწიფოებს, სუკისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შემწეობით.

ჯორჯ ბუშს განზრახული ჰქონდა სიტყვით გამოსვლა, მაგრამ რამდენჯერმე თავი აარიდა ამას, იმდენად ემოციურად და ცხარედ, რომ შეკრებული აღმოჩნდნენ თვით უკრაინელი კომუნისტებიც კი, რომლებსაც (ისევე როგორც მათ პოლონელ ამხანაგებს) პარლამენტში ადგილების ორი მესამედი აქვთ. უნდა ვიცოდეთ, რომ იმ სატელევიზიო გადაცემების მიუხედავად, რომლებიც გვიჩვენებენ პრეზიდენტს გოლფის მოედანზე ან სარბენ ბილიკზე თამაშისა თუ სირბილის დროს, ბუშს საკმაოდ სერიოზულად შეერყა ჯანმრთელობა: სწრაფად იღლება და ხშირად უგუნებოდაა, ადვილად ღიზიანდება და ბრაზდება, როცა რაიმე მოვლენა ან რომელიმე პიროვნება გზას გადაუჭრის მესიანიზმს, რომლის მოციქულადაც მიიჩნევს თავს. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ამას მძიმე შედეგები მოჰყვება მომავალი პრეზიდენტის არჩევნების წინ, რომელიც 1992 წლის შემოდგომაზე მოეწყობა.

კიევში გაბრაზებულმა ბუშმა ლამის იღრიალა გაოგნებული პარლამენტარების წინაშე, რომ „თავისთავად თავისუფლება არ ნიშნავს დამოუკიდებლობას“, და დაუმატა: „ზოგიერთი მოგვიწოდებს მხარი დავუჭიროთ ან პრეზიდენტ გორბაჩოვს, ან დამოუკიდებლობისათვის მოძრაობას, რომელიც აქა-იქ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში. ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. პრეზიდენტმა გორბაჩოვმა განსაცვიფრებელი საქმეები განახორციელა. ჩვენ შევინარჩუნებთ მასთან შეძლებისდაგვარად მჭიდრო ურთიერთობას. ჩვენ მხარს არ დავუჭერთ იმათ, ვისაც სურს წარსული ტირანია ადგილობრივი დესპოტიზმით და რასობრივ სიძულვილს დამყარებული ნაციონალიზმით შეცვალოს.

პირველ საკითხთან დაკავშირებით სამი დღის შემდეგ ამაღლებული სიტყვით მას უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც შეახსენა ჩაგრული ერების გაცდა და წუხილი იმის გამო, რომ უკვე იალტის კონფერენციის დროს ხალხებისა და ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლის ნაცვლად ვაშინგტონმა სტალინს შეატოვა გერმანელთა ტყვეობაში ხამყოფი ანდა სტალინური დიქტატურისგან თავის დასაღწევად მათ მხარეზე გადასული ათასობით რუსი და არარუსი. ისინი გასწირეს სასიკვდილოდ (ისევე როგორც 45 ათასი ავსტრიის შეფარებული ანტიკომუნისტი იუგოსლავი, რომლებიც ინგლისელებმა და ამერიკელებმა გაუგზავნეს ტიტოს პირუტყვისათვის გაკეთებული ვაგონებით, წინასწარ დაარწმუნეს რა იმაში, რომ მატარებლები დასავლეთისკენ მიდიოდნენ, ყველა დახვრიტეს!).

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სვამს კითხვას: ნუთუ მისი ქვეყანა, რომელმაც გასულ წელს ჩაატარა ნამდვილად თავისუფალი არჩევნები, ნაკლებად „დემოკრატიულია“, ვიდრე ქუვეითი ან საუდის არაბეთი (სადაც არასდროს ყოფილა თავისუფალი არჩევნები). ნუთუ ორიათასწლოვანი ერი, კითხულობს იგი, რომელმაც ქრისტიანობა IV საუკუნეში მიიღო და რომელიც ყოველთვის იცავდა სამართლიანობას და სამართალს, უნდა გმინავდეს მონობის ყულფში კისერგაყოფილი და რჩებოდეს სამოკავშირეო ხელშეკრულების უღელქვეშ, რომელიც მხოლოდ მასკარადია საბჭოთა დიქტატურის შესანარჩუნებლად გამიზნული.

ევროპის საინფორმაციო ცენტრი.
22 აგვისტო 1991 წელი.

„ფიგარო“

ზვიად გამსახურდია: „კეთილად დასრულდა საქმე, მაგრამ ეჭვები მაინც რჩება“.

საქართველოს პრეზიდენტს საეჭვოდ მიაჩნია გორბაჩოვის უდანაშაულობა პუტჩში.

— კომუნიკეში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, მომხდარი პუტჩი თქვენ მიიჩნიეთ, როგორც მიზანსცენა, ინსცენირებული კრემლის ზოგიერთი ლიდერის მიერ. რა გაძლევთ ამის საფუძველს?

— ძნელი სათქმელია, რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა პერსპექტივები გადაუშალა გორბაჩოვს ამ პუტჩმა. მომხდარმა ამბავმა მას უდიდესი პოპულარობა და ნდობა მოუხვეჭა. ამჟამად მას დიდი შანსი აქვს გაიმარჯვოს პრეზიდენტის არჩევნებში. სწორედ ეს გარემოება მაფიქრებინებს სპეციალურად შემუშავებული ინსცენირების შესაძლებლობას, რომლის მიზანიც ხალხის მოტყუებაა. რატომ მოხდა, რომ ერთადერთი, ვინც დააპატიმრეს, იყო გორბაჩოვის პირადი მტერი [illegible]. რატომ ეს არ შეეხო ელცინს ან სხვებს? ეს ყველაფერი ეჭვს იწვევს.

— შევარდნაძის განცხადებამ, სადაც მან იგივე გამოთქვა იმ [illegible] როლზე, რომელიც გორბაჩოვმა გადატრიალებაში შეასრულა, შესაძლებელია თუ არა გამოიწვიოს ნომერ პირველი საბჭოთა მოქალაქის დისკრედიტაცია?

— არა, ამჟამად მისი სტატუსი ინგლისის დედოფლის სტატუსს ჰგავს. თანაც, ამას ემატება დასავლეთის მხრიდან გაძლიერებული დახმარების გაზრდის პერსპექტივა, რაც ძალიან მალე უნდა მოხდეს. ყველაფერი ეს ძალზე [illegible] იღებს. მაგრამ, მოდით დაველოდოთ იმას, თუ რა ბედი ეწევა იანაევს. თუ დააპატიმრეს, გაასამართლეს და დახვრიტეს, მაშინ ეს მართლაც პუტჩი ყოფილა. თუ ასე არ მოხდა და პატიმრობისას სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრებს, ან მძიმე ავადმყოფობა შეეყრება, მაშინ ცხადი გახდება, რომ პუტჩი ინსცენირებული იყო. ამას მალე გავიგებთ.

— იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება საბჭოთა კავშირში ვითარება, როგორ უყურებთ თქვენს ადგილს ამ სისტემაში? შესაძლებელია თუ არა ამ პირობებში მოაწეროთ ხელი ახალ ხელშეკრულებას?

— თუ ეს ხელშეკრულება ახალი იქნება, შესაძლოა ჩვენ მას გავეცნოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, აბსტრაქტული ცნება — სსრ კავშირი — მთლიანად იშლება, დეზინტეგრაციას განიცდის. ჩვენ გვინდა ყველა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამიერიდან აღარ იქნება ცენტრის დიქტატურა, კონსერვატორების მკაცრი კურსი. საბჭოთა კავშირში შესაძლოა შეიქმნას რაღაც საერთო ბაზრის მსგავსი, რომლის სათავეში იქნება შეზღუდული უფლებების მქონე პრეზიდენტი.

— რა ზომები მიგაჩნიათ საჭიროდ საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად: სწრაფი პრივატიზაცია, საკუთარი ფული, ქართული პასპორტები, საზღვარგარეთ საელჩოები?

— რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ამისთვის საჭიროა დასავლეთმა გვცნოს; ეს მალე უნდა მოხდეს. რაც შეეხება ფულს, — მოვჭრით. ამისთვის ერთი წელი გვჭირდება. მას ქართული სახელი ექნება — მარჩილი. ხოლო პრივატიზაცია ჯერ პატარა საწარმოებსა და სავაჭროებს შეეხება, და არა დიდ ქარხნებსა და ფაბრიკებს.

— რაც შეეხება მიწას?

პრივატიზაცია უკვე დაიწყო.

— მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები რჩებიან.

— დიახ, სწორია, მაგრამ კოლმეურნეობების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო ფერმებად იქცა.

— თქვენ იხმარეთ სიტყვა „დესოვეტიზაცია“, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ფერმები ქართული სახელმწიფოს საკუთრებად იქცა?

— დიახ.

— შესაძლებელია თუ არა ახლო მომავალში ამიერკავკასიის ერთიანობა, რომელსაც თქვენ ესწრაფვით?

— რასაკვირველია. კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ამ ურთიერთობაში შემრიგებლობა და სტაბილურობა სუფევს. ვიმედოვნებ, რომ ვიხილავთ ამიერკავკასიის თავისუფალი ვაჭრობის ზონად.

— დემოკრატია გულისხმობს ოპოზიციას. ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში სუფევს, ხომ არ გამოიწვევს ძლიერი ხელის, ავტორიტარიზმის გამოჩენას?

— წესრიგი და დისციპლინა აუცილებელია. საქართველოში გვაქვს წესრიგი, და ამავე დროს, გვყავს ოპოზიციური ჯგუფები. არსებობს ლეგალური ოპოზიცია, რომლის ლიბერალიზაციის პროგრამა ჩვენ ანარქიამდე მიგვიყვანდა. არის კომუნისტური ოპოზიცია, რომელიც პუტჩის მხარდაჭერის შემდეგ ფაქტობრივად დაიშალა. ამას ემატება შეიარაღებული დანაშაულებრივი ოპოზიცია.

— ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეტაკებები იყო. ახლა რა ვითარებაა?

— მთავარი ქალაქი — ცხინვალი — ისევ ბანდიტების ხელშია. იქ არის უკანონო ხელისუფლება, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. „სოიუზის“ მიერ შექმნილმა მოძრაობამ ქართველები ქალაქიდან გააძევა, ამიტომ იყო, რომ ამ ექსტრემისტებმა სიხარულით დაუჭირეს მხარი გადატრიალებას.

— რა ელის გორბაჩოვ-ელცინის ტანდემს?

— წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ ვიცი, რომ გორბაჩოვი ამჟამად საბჭოთა კავშირში დიდ ძალას აღარ წარმოადგენს. რაც შეეხება ელცინს, სასიხარულოა, რომ მან დიდი გამარჯვება მოიპოვა. მე მხარს ვუჭერ მის პოლიტიკურ მიზნებს.

ერიკ ფლამანი.

დიპლომატიური აქტიურობა ბალტიისპირეთში

რიგა, 30 აგვისტო (საქინფორმის საკ. კორ. გენადი დემეტრაშვილი). აქ ხანმოკლე ვიზიტად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი. მან გამართა კონსულტაციები რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, რომლებზეც განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები. ლატვიის დედაქალაქში გაიმართა საფრანგეთსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ კომუნიკეს ხელმოწერის ცერემონია. ისტორიულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ორი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა: საფრანგეთის მხრივ — როლან დიუმამ და ლატვიის მხრივ იანის იურკანსმა. შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც მეგობარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი არასდროს არ შერიგებია ბალტიის სახელმწიფოთა ძალდატანებით ანექსიას. გამოითქვა მზადყოფნა დაეხმარონ ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს საერთაშორისო ორგანიზაციაში დაბრუნების საქმეში.

სასიამოვნო ახალი ამბავი მოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან. მისმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ ბალტიის რესპუბლიკებს შეუძლიათ სიმბოლურად მიიღონ მონაწილეობა 1992 წლის ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაში, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ალბერვილში გაიმართება.

კიდევ ერთი ახალი ამბავი: მიღებულია დადგენილება ლატვიის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ. იგი, როგორც უზენაესი საბჭო მიიჩნევს, უნდა განხორციელდეს ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ ვადებში.

როგორც „ბალტის“ სააგენტო იუწყება, ლატვიის ყოველდღიური გაზეთის „დიენას“ („დღე“) პირველ გვერდზე ერთ-ერთი მასალის ნაცვლად თეთრი ლაქა იყო. გამოცემის მთავარი რედაქტორი ვიქტორ დაუგმალისი მოწინავე სტატიაში წერს: თეთრი ლაქა „დიენას“ პირველ გვერდზე არის პრესისადმი დღევანდელი დამოკიდებულების გამო პროტესტის გამოხატვის დემონსტრირება. ჩვენ რესპუბლიკის ლოიალური მოქალაქეები ვართ და მთლიანად გვაქვს შეგნებული საკუთარი პასუხისმგებლობა და მოვალეობა ლატვიის ინტერესების წინაშე, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ სადირექტივო წესით შეზღუდონ ჩვენი უფლებები. დაუგმალისმა აღნიშნა, რომ წინა დღით შეჩერდა რესპუბლიკური გაზეთების წარმოების პროცესი, რათა ოფიციალურ პირთა ინფორმაცია გავრცელებინათ. 29 აგვისტოს სცადეს „დიენის“ მთავარი რედაქტორისათვის აეკრძალათ სასამსახურო მოვალეობის შესრულება. ასეთი ფაქტების გამო ლატვიის რესპუბლიკის პრესა არა მარტო დისკრიმინაციულ, არამედ სასაცილო მდგომარეობაშიც არის, წერს ვ. დაუგმალისი.

მიესალმებიან დამოუკიდებლობას

კიშინიოვი, 29 აგვისტო. დამოუკიდებლობის გამოცხადება მოლდოვეთისთვის სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ევროპაში, დასავლური დემოკრატიის ტრადიციებისაკენ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტთა აღიარებისაკენ მიბრუნებას, განუცხადა მოლდოვა-პრესის კორესპონდენტს რუსულენოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის დემოკრატიული მოლდოვეთის თანათავმჯდომარემ ელენე ბორტაშევიჩმა.

მოლდოვეთის არარუმინული ეროვნების იმ მოქალაქეთა ლიდერის აზრით, რომლებიც მხარს უჭერენ რუმინეთ-მოლდოვეთის ეროვნული აღორძინებისა და მის ტერიტორიაზე ყველა მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის თავისუფალი განვითარების პროცესებს, სხვისი ეროვნული ღირსების პატივისცემა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც საკუთარი ეროვნული სიამაყის გრძნობა აქვს. ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი ეროვნული თვითშეგნების განვითარებას — ეს არის სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის საწინდარი, რაც დამოუკიდებელ ეროვნულ რესპუბლიკაში ყველა მოქალაქის თავისუფალი განვითარების გარანტიას იძლევა, ეს კი ყბადაღებული ეროვნული საკითხის გადაჭრის შესაძლებლობას ქმნის.

კიშინიოვში გამართულ დიდ ეროვნულ კრებაზე, რომლის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს მოლდოვეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ელენე ბორტაშევიჩმა მოუწოდა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს გულწრფელად მიხვდნენ იმას, რომ სამყაროში მთავარი ღირებულებაა ადამიანი. ადამიანისა და ერების თვითგამორკვევის უფლებათა თანაბარი ცნობა უზრუნველყოფს სახელმწიფოს განვითარების ჰუმანურ და დემოკრატიულ მიმართულებას, ხაზგასმით აღნიშნა მან და წინადადება წამოაყენა დამოუკიდებელი მოლდოვეთის ხალხის ნამდვილი ერთიანობის სიმბოლოდ, ეროვნებათა სახლი გახსნან რესპუბლიკის ყოფილი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტის შენობაში.

საქინფორმი

რამდენიმე სტრიქონით

ბალტიისპირეთში ახლად დანიშნულმა საბჭოთა ჯარების სარდალმა გენერალმა მიროხოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა სამხედრო ძალების ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო ბალტიისპირელი ჯარისკაცების დემობილიზაციის თაობაზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ხუან ანტონიო სამარანჩმა თქვა, რომ სექტემბერში ბერლინში გაიმართება კომიტეტის თათბირი და მოსალოდნელია, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს კვლავ მიიღებენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბარსელონის ოლიმპიადაში ბალტიისპირელი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ.

რადიოსადგურ ბი-ბი-სის ცნობით, დაახლოებით 30 საბჭოთა ელჩი დაიბარეს მოსკოვში იმის გასარკვევად, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი სამხედრო-პარტიული გადატრიალების დროს. დაბარებულთა შორის არის საბჭოთა ელჩი ლონდონში ზამიატინი. ელჩების უმრავლესობას ბრალად სდებენ ხუნტის მხარეზე გადასვლას.

ფრანგული ჟურნალის „პარი მატჩის“ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მოსკოველები ყველაზე მეტად მხარს უჭერენ ელცინს, შემდეგ მოდიან სობჩაკი და შევარდნაძე.

ყაზახეთის პრეზიდენტის ნაზარბაევის ბრძანებით გაუქმდა სემიპალატინსკის ატომური პოლიგონი. 1949 წლიდან ამ პოლიგონზე 500-ზე მეტი ბირთვული აფეთქება მოახდინეს, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას და ბუნებას.

გუშინწინ მოსკოვის ტროეკუროვის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს საბჭოთა კავშირის მარშალი ახრომეევი. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ახრომეევი ეჭვმიტანილი იყო სამხედრო-პარტიული გადატრიალების ორგანიზაციაში. მარშალი სამხედრო პატივის გარეშე დაკრძალეს.

დასავლეთის ბევრ სოვეტოლოგს დღესაც ვერ წარმოუდგენია საბჭოთა კავშირიდან ზოგიერთი რესპუბლიკის გამოყოფა. გუშინ გაზეთ „ტრუდში“ დაიბეჭდა ფრანგი სოვეტოლოგის ალექსანდრე ადლერის ინტერვიუ, სადაც იგი აცხადებს, რომ ესტონეთისა და ლატვიის აყვავება მხოლოდ რუსეთთან კავშირით შეიძლებაო. რაც შეეხება ლიტვას, იგი პოლონეთთან ინტეგრაციაში შევაო. ადლერი განსაკუთრებულად საქართველოს შეეხო. მან თქვა, რომ არ ესმის თუ რატომ უნდა საქართველოს „ავტონომიზაცია“, მაგრამ თუ ქართველების უმრავლესობას კავშირიდან გამოყოფა სურს, არ ღირს იქ რუსი ჯარისკაცების გაგზავნაო. ამავე დროს ადლერმა საქართველოს ხელისუფლება არც მეტი და არც ნაკლები, რასიზმში დაადანაშაულა, ხოლო საბუთები კი არ მოიყვანა. ადლერმა შემდეგ დაამატა, რომ უკრაინაც თუ გამოეყო საბჭოთა კავშირს მაშინ ეს კატასტროფა იქნებაო, ხოლო რა სახის კატასტროფა იქნება, ადლერი ამაზეც სდუმს.

ირანის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ ავღანელი მოჯაჰედების ლიდერები კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირში მომხდარი სამხედრო-პარტიული გადატრიალების მარცხს. ბურჰანუდინ რაბანიმ აღნიშნა, რომ „ავღანეთში შეჭრის ინიციატორებმა მარცხი განიცადესო“ მან მხარი დაუჭირა ელცინის პოზიციას, რომელმაც დაგმო ცენტრალური ხელისუფლება ქაბულის რეჟიმისადმი მხარდაჭერისთვის. სეიდ აჰმად გილანმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირში მომხდარი ამბები დააჩქარებს ავღანეთის განთავისუფლებასო. ნასრულა მანსური, რომელიც მანსურ შაჰის სახელით უფრო ცნობილი, ამბობს, რომ „კომუნიზმის კრახი სერიოზულად ჩააფიქრებს ქაბულის მარიონეტულ რეჟიმსო“. გულბედინ ჰექმათიარმა კი ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის ამბები დაგვეხმარება კომუნისტური ბაცილებისგან უფრო სწრაფად გავწმინდოთ ჩვენი სამშობლოო. ჰექმათიარმა ისიც თქვა, რომ როდესაც შეწყდება მოსკოვის ჩარევა ავღანეთში, რაც ქაბულის გამყიდველი რეჟიმისათვის იარაღის მიწოდებაში გამოიხატება, პატრიოტული ძალები უფრო შევკავშირდებითო.

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირის კომპარტიის საქმიანობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეჩერებულია და ბანკებში მისი თანხები გაყინულია. თუ კომპარტიას ხუნტასთან კავშირი დაუმტკიცდა, მაშინ მისი საქმე საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს გადაეცემა.

საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ დაადგინა საბჭოთა კავშირის კანონის 34 მუხლის შესაბამისად მიეცეს თანხმობა სახალხო დეპუტატის ანატოლი ლუკიანოვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასა და დაპატიმრებაზე.

28 აგვისტოს ღამით, მას შემდეგ რაც მოლდოვეთის კომპარტია უკვე კანონგარეშე იყო, ხოლო მისი შენობა დაილუქა, გაქრა მის წინ განლაგებული მარქსისა და ენგელსის ძეგლები. გაზეთი „ლიტერატურა ში არტა“, რომელიც ამ ამბავს იუწყება, საგონებელშია ჩავარდნილი, თუ ვინ და რა პოლიტიკური მიმართულების ადამიანებმა მოიპარა ისინი.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ბორის პანკინი. იგი ერთად-ერთი ელჩი აღმოჩნდა, რომელმაც დაგმო „ხუნტის“ მოქმედება. ადრე პანკინი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ მუშაობდა. 1982 წლიდან საბჭოთა ელჩი იყო შვედეთში, ბოლოს კი ჩეხეთ-სლოვაკეთში.

ცნობათა გავრცელების სააგენტო „ნოვოსტი“ აღნიშნავს, რომ ამ დღეებში გარდაცვლილმა მარშალმა ახრომეევმა პირადად გასცა ბრძანება სამხრეთ კორეის თვითმფრინავის „ბოინგის“ ჩამოგდების თაობაზე. შეგახსენებთ, რომ კორეული „ბოინგი“, რომელშიც ორასზე მეტი მგზავრი იყო, ალასკის ქალაქ ანკორიჯიდან სამშობლოში მიფრინავდა, მან ორიენტირი დაკარგა და სახალინის თავზე აღმოჩნდა, შემდეგ იგი საბჭოთა გამანადგურებელმა ჩამოაგდო. იუწყებიან, რომ საქმეში გენერალი ოგარკოვიც იყო გარეული.

ფინეთმა, ჩილემ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ სცნეს ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. იუწყებიან, რომ ვატიკანმაც აღადგინა დიპლომატიური კავშირი ლიტვასთან, ლატვიასთან და ესტონეთთან.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელიც ამჟამად კურორტ კენებანკპორტის მამულში ისვენებს, განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში სცნობს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

1558 წელს დაიბეჭდა მიშელ დე ნოსტრადამუსის ნაწარმოები „ცენტურიუნი“, სადაც ნაწინასწარმეტყველია, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია, ჰაბსბურგების და ჰოჰენცოლერნებისა და რუსეთის რომანოვების დინასტიების დაცემა, პირველი და მეორე მსოფლიო ომები. თავის ნაწარმოებში ნოსტრადამუსს კიდევ ნათქვამი აქვს, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში „უღმერთოთა მმართველობა“ დაეცემა 73 წლის, 7 თვისა და 7 დღის შემდეგო. თუ 19-22 აგვისტოს პუტჩს ნოსტრადამუსს მივუსადაგებთ, გამოდის, რომ რუსეთში უღმერთოთა ბატონობა ძველი სტილით 1918 წლის 14 იანვარს დამყარებულა. საბჭოთა ისტორიოგრაფიით კი ბოლშევიკური ბატონობა 1917 წლის 24-25 ოქტომბერს დამყარდა. როგორც ჩანს, 17-18 წლების მოვლენები ახლებურად არის შესასწავლი. იუწყება გაზეთი „ესტონეთი“.

კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სკოტ მალინმა განაცხადა, რომ კანადა დაუყოვნებლივ არ სცნობს უკრაინისა და მოლდოვეთის დამოუკიდებლობას, ამავე დროს აღიარებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. სკოტ მალინმა განმარტა, რომ განსხვავებული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ ოტავა არასოდეს არ სცნობდა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის შესვლას საბჭოთა კავშირში, მაშინ როდესაც დანარჩენ რესპუბლიკებს ყოველთვის მიიჩნევდა მის შემადგენელ ნაწილებად. ის გარემოება, რომ კანადაში მილიონამდე უკრაინელი ცხოვრობს, რომლებიც საკმაო ზეგავლენას ახდენენ კანადის მთავრობაზე, მაშინ გასაგები გახდება, რომ კანადის „დაყოვნება“ უკრაინისა და მოლდოვეთის აღიარების საკითხში დიდხანს არ გაგრძელდება.

ემიგრაციაში მოქმედმა კუბის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა, რომლის შტაბ-ბინა მეხიკოშია, ბორის ელცინს მოუწოდა ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტოს ფიდელ კასტროს რეჟიმს. მათი აზრით, ელცინმა მხედველობაში უნდა მიიღოს კუბელი ხალხის ტანჯვა, რომელიც მოკლებულია თავისუფლებას და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ სხვა გარანტიებს“.

ჩეხეთ-სლოვაკეთმა ოფიციალურად ცნო ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. მალე ვილნიუსში, რიგასა და ტალინში გაიხსნება ჩეხეთ-სლოვაკეთის საელჩოები.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ჰავიერ პერეს დე კუელიარმა ჟენევაში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ უკრაინა და ბელორუსია მალე გახდებიან გაეროს წევრები, ისინი უკვე არიან გაეროს სრულუფლებიანი წევრები 1945 წლის იალტის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად. რაც შეეხება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიღებას, მათი კანდიდატურები ოფიციალური თხოვნის შემდეგ გაეროს გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს უშიშროების საბჭომ.

საბერძნეთის კომპარტიამ თავისი ორგანო „რიზოსპასტისი“ [illegible]. საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადატრიალების დროს გაზეთმა პუტჩისტებს დაუჭირა მხარი და თავის ხელმძღვანელობას პოლიტიკურ მერყეობაში დასდო ბრალი.

გერმანული „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლიტვის ლიდერმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ფართო მასშტაბის პუტჩი ალბათ ვეღარ მოხდებაო, პატარ-პატარა აჯანყებები კი, მათ შორის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც, შეიძლება მოხდესო. ლანდსბერგისმა აღნიშნა, ახლა როდესაც მსოფლიოს ქვეყნები ჩვენთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებენ, კვალიფიცირებული დიპლომატები გვაკლიაო.

შეერთებული შტატების ფედერალურმა ხელისუფლებამ ტეხასის შტატი სტიქიური უბედურების რაიონად გამოაცხადა. შტატის სოფლის მეურნეობას ძლიერი გვალვებით დიდი ზარალი მიადგა, რომელიც 220 მილიონ დოლარად ფასდება.

„სამშობლოს ღალატი“ — ასეა კვალიფიცირებული რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ამ დღეებში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ეგრეთ წოდებული საგანგებო კომიტეტის ლიდერთა მიმართ, რომლებმაც ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება სცადეს. ამ მუხლით გათვალისწინებულია 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელის უმაღლესი ზომა. როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს სსრ კავშირის პროკურატურაში, ამჟამად შეთქმულების ძირითად ორგანიზატორთა გარდა დასაკითხია მრავალი პირი, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება ჰქონდათ შეთქმულების მომზადებასთან და განხორციელებასთან. დასაკითხთა შორისაა მოსკოვის ყოფილი კომენდანტი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი კალინინი.

სურათზე: ხედავთ ამერიკულ რამდენიმე ადგილიან მსუბუქ თვითმფრინავ „ცესნას“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოყვარულ მფრინავებს შორის. იგი თავისი კლასის თვითმფრინავებს შორის იოლი მართვითა და შესანიშნავი მანევრირებით გამოირჩევა. „ცესნამ“ მსოფლიო სახელი მას შემდეგ მოიპოვა, რაც გერმანელმა მფრინავმა მათიას რუსტმა ფინეთის მხრიდან დაარღვია მანამდე შეუვალი საბჭოთა საჰაერო სივრცე, გაეპარა საბჭოთა რადარებს და მოსკოვის ცენტრში, კრემლის რაიონსა და სასტუმრო „როსიას“ შორის დაჯდა. ეს მოხდა რამდენიმე წლის წინ. ამ ფაქტის გამო მაშინდელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი სოკოლოვი გადააყენეს და დანიშნეს იაზოვი. ამჟამად იგი „ხუნტის“ სხვა წევრებთან ერთად დაპატიმრებულია.

თავის დროზე მათიას რუსტის ბაბუა მოსკოვის მისადგომებთან მაერში იბრძოდა. ვერმახტმა დიდი ჯილდო დააწესა იმ გერმანელი პილოტისათვის, რომელიც კრემლის რაიონსა და განსაკუთრებით ლენინის მავზოლეუმს დაბომბავდა. იმ დროს ლენინის ნეშტი უკვე ციმბირის ერთ-ერთ ქალაქში იყო გადასვენებული.

ხიდი

ლონდონის სამეფო საზოგადოების მიწვევით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ა. თავხელიძის, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის ბატონ ლ. გაბუნიასა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ბატონ ბ. ჯორბენაძის შემადგენლობით, მიმდინარე წლის 9-16 ივლისს იმყოფებოდა ლონდონში, სადაც მიიწვია ლონდონის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტმა ბატონმა მაიქლ ატიამ აკადემიებს შორის სამეცნიერო ურთიერთობის დასამყარებლად.

ბატონმა ლეო გაბუნიამ მოკლედ მოგვითხრო.

— დელეგაციის ინგლისში გამგზავრებას წინ უძღოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ა. თავხელიძისა და ლონდონის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტის ბატონ მ. ატიას პირადი მოლაპარაკება სამეცნიერო დელეგაციათა გაცვლის თაობაზე, რასაც ლონდონის სამეფო საზოგადოებაში ჩვენი ოფიციალური მიწვევა მოჰყვა. გამგზავრებამდე ათიოდე დღით ადრე ჩვენ „მივიღეთ სამეფო საზოგადოების" მიერ შედგენილი მემორანდუმი — ერთობლივი შეთანხმების პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ შემუშავებულ ხელშეკრულებას. იქნებ არ იყოს ზედმეტი მკითხველისათვის შეხსენება, რომ ლონდონის სამეფო საზოგადოება აკადემიის ტიპის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და უძველესი დაწესებულებაა ევროპაში. დღეს მას სათავეში უდგას ცნობილი მათემატიკოსი მაიქლ ატია. მისი მმართველი ორგანოა საბჭო, რომელიც შედგება ოცი წევრისაგან (ამათგან შვიდი სამეფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტია). საზოგადოების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული პერსონალი ემსახურება როგორც საკუთრივ მეცნიერების მართვის, ისე გამომცემლობისა და უცხოეთთან ურთიერთობის საქმეს, საინფორმაციო-საბიბლიოთეკო საქმეს, ანაწილებს ფინანსებს და სხვ.

სამეფო საზოგადოების პრეზიდენტმა ბატონმა მ. ატიამ უაღრესად გულთბილად მიგვიღო და მოკლედ გაგვაცნო საზოგადოების საქმიანობა. ჩვენს დელეგაციასთან მოლაპარაკებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და საგარეო ურთიერთობათა მდივანი ენტონი ეპშტეინი, მისი თანაშემწე ბატონი პ. კუპერი და ადმინისტრაციის ზოგიერთი სხვა წევრი. მას შემდეგ, რაც ჩვენ გავაცანით ერთმანეთს ჩვენი მეცნიერული საქმიანობა და ინტერესების სფერო, შევუდექით ზემოაღნიშნული მემორანდუმის დაზუსტებასა და დახვეწას, საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ორივე აკადემიის პრეზიდენტებმა.

— ამ ხელშეკრულების შინაარსს ხომ ვერ გაგვაცნობთ?

— მოკლედ აღვნიშნავ რამდენიმე ძირითად პუნქტს. ეს ხელშეკრულება, რომელიც არსებითად ჩვენი აკადემიის მიერ მძლავრ საერთაშორისო საკვლევო ცენტრებთან სამეცნიერო ურთიერთობის დამყარების ამ ბოლო დროს აღებულ კურსს განაგრძობს (შარშან მსგავსი ხელშეკრულებები დაიდო ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიასთან და ტრიესტის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრთან იტალიაში), მიზნად ისახავს, პირველ რიგში, ახალგაზრდა (35 წლამდე) მეცნიერთა პირდაპირ გაცვლას — ქართველ მეცნიერთა ერთი წლით მივლინებას ინგლისის ლაბორატორიებში და შესაბამისად ინგლისელ მკვლევართა ჩამოსვლას საქართველოს საკვლევო დაწესებულებებში. ხელის შეწყობას ორივე ქვეყნის მეცნიერთა ერთობლივი კვლევისათვის, ერთობლივი სამეცნიერო სემინარების გამართვასა და სხვ. შეთანხმების თანახმად, მიმღები მხარე კისრულობს მივლინების ყველა ხარჯებს, გარდა ლონდონსა და მოსკოვს შორის გზის ფულისა.

შეხვედრაზე, რომელიც სამეფო საზოგადოების საბჭომ მოგვიწყო, საზოგადოების პრეზიდენტმა მისასალმებელი სიტყვით მოგვმართა, რომელშიც სამეცნიერო ძალების გაერთიანებისა და ორმხრივი თანამშრომლობის გაშლის მნიშვნელობას შეეხო. ასეთი ურთიერთკავშირის დიდ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი საპასუხო სიტყვაში ბატონმა ა. თავხელიძემ, რომელმაც აღნიშნა სამეცნიერო თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და შეახსენა ბატონ ატიას, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ელის ლონდონის სამეფო საზოგადოების საპასუხო ვიზიტს.

— ლონდონის რომელიმე სხვა სამეცნიერო დაწესებულებას თუ ეწვიეთ?

— სამეფო საზოგადოების თანამშრომლებმა და, პირველ რიგში, ჩვენს დელეგაციაზე მომაგრებულმა ქალბატონმა ქეთრინ ბესონმა იზრუნეს ჩვენი ლონდონში ყოფნის პროგრამა საკმარისად დატვირთული და საინტერესო რომ ყოფილიყო. მეორე დღისათვის მათ დაგვიგეგმეს შეხვედრა ბრიტანეთის აკადემიის ხელმძღვანელობასთან.

ბრიტანეთის აკადემია შედარებით ახალგაზრდა დაწესებულებაა. იგი ჩამოყალიბდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო ისტორიის, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დარგების კვლევისათვის, სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა გაეწია ბრიტანეთის სკოლებისა და ინსტიტუტებისათვის აზიის რიგ ქვეყნებში, საბერძნეთსა და იტალიაში. ბრიტანეთის აკადემიაში ჩვენ შემოგვეგება საგარეო ურთიერთობათა კურატორი პროფესორი ჯ. თრაპი მრჩევლებთან ერთად. შედგა საუბარი ჩვენი აკადემიების საქმიანობასა და გეგმებზე და მოისინჯა ნიადაგი ბრიტანეთის აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შორის პირდაპირი სამეცნიერო ურთიერთობის დამყარებისათვის. შევთანხმდით, რომ ჩვენი მასპინძლები წინასწარ დაგეგმავენ ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთობათა პროგრამას და მოკლე დროში გამოგვიგზავნიან ხელშეკრულების პროექტის თავიანთ ვერსიას. ამ საქმიან საუბარს მოჰყვა შეხვედრა, რომელიც ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად მოაწყვეს აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ა. ჯ. კენიმ, სპეციალობით ფილოსოფოსმა, და სამეცნიერო საბჭოს სხვა წევრებმა. შეხვედრაზე წარმოთქმულ შესანიშნავ სიტყვაში ბატონმა ა. კენიმ წარმატება უსურვა ქართველ ერს, საქართველოს ძველი კულტურის მემკვიდრეებსა და მისი მომავლის მშენებლებს. ბატონმა ა. თავხელიძემ თავის საპასუხო გამოსვლაში მადლობა მოახსენა ბრიტანეთის აკადემიის პრეზიდენტს ჩვენს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის და, იმედი გამოთქვა, რომ საქმიანი საუბარი, რომელიც შეხვედრის წინ გაიმართა, საფუძველს ჩაუყრის მჭიდრო სამეცნიერო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას. მან ოფიციალურად მოიწვია საქართველოში ბატონი ა. ჯ. კენი და მისი უახლოესი თანამშრომლები

— ბატონო ლეო, თქვენი დარგის სპეციალისტებს თუ შეხვდით ლონდონში?

— ქალბატონმა ქ. ბესონმა გაითვალისწინა ყოველი ჩვენგანის პროფესიონალური ინტერესი. დელეგაციის წევრები დროებით დავშორდით ერთმანეთს: ბატონი ა. თავხელიძე გაემგზავრა მეცნიერებისა და ტექნიკის საიმპერიო კოლეჯის ფიზიკის დეპარტამენტში, ბატონი ბ. ჯორბენაძე შეხვდა ქართველოლოგიის დარგში მომუშავე პროფ. დ. რეიფილდს, მე კი ბრიტანეთის საბუნებისმეტყველო მუზეუმს ვეწვიე.

— ამ სახელმოხვეჭილი მუზეუმის შესახებ ჩვენც ბევრი გვსმენია.

— ბრიტანეთის მუზეუმსა და მის უთვალავ საუნჯეთა შესახებ, ალბათ, ცალკე შეიძლებოდა გვესაუბრა, მაგრამ დღეს თქვენს ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ მის პალეონტოლოგიის დეპარტამენტზე, სადაც მე განსაკუთრებით მეგობრულ და გულთბილ გარემოცვაში აღმოვჩნდი. დამახასიათებელია, რომ განყოფილებას ხელმძღვანელს ბატონ როდ ქლიველს, რომელიც დეპარტამენტის შესასვლელში შემომეგება, მკერდს უმშვენებდა საქართველოს ეროვნული დროშის ნიშანი. სამწუხაროდ, დრო იმდენად შეზღუდული მქონდა, რომ გული ვერ მოვიჯერე ვერც ნამარხი მასალის გაცნობით და ვერც პალეონტოლოგიის სადაო საკითხებზე საუბრით.

— ლონდონის ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად თქვენ, რა თქმა უნდა, ვერ მოიცლიდით?

— ისტორიული ადგილების გაცნობას ვიწყებდით უკვე ჩვენი სასტუმროდან, რომელიც ბუკინჰემის სასახლის ერთ-ერთ კარიბჭეს ესაზღვრებოდა. მაგრამ ამისათვის ჩვენს განკარგულებაში იყო შაბათ-კვირა. მანამდე კი მთელი დღე დავუთმეთ მოგზაურობას ოქსფორდში, სადაც გვმასპინძლობდა ბატონი პიტერ ჰოდგსონი კორპუს ქრისტის კოლეჯიდან. აქ ჩვენ ისევ დავშორდით ერთმანეთს. ბატონი ა. თავხელიძე თეორიული ფიზიკის კლარენდონის ლაბორატორიას ეწვია, ბატონი ბ. ჯორბენაძე — ბოდლიანის ბიბლიოთეკას, ხოლო მე ოქსფორდის უნივერსიტეტის მუზეუმს, სადაც საშუალება მომეცა გავცნობოდი უძველესი ნამარხი ძუძუმწოვრების ტიპობრივ ეგზემპლარებს და ნამარხი ამფიბიებისა და რეპტილიების (დინოზავრების) მდიდარ კოლექციას.

უნდა აღვნიშნო, რომ ოქსფორდში გამომგზავრებამდე ჩვენ ცოტა ხნით ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯს ვესტუმრეთ, რომლის ცენტრალური აზიის კვლევის ცენტრს ახლახან კავკასიის კვლევის ჯგუფი შეემატა. აქ, კოლეჯის რექტორთან, ბ-ნ დ. ჰ. რობერტსთან და ჩვენს ლონდონელ თანამემამულესთან, ქ-ნ თამარ დრაგაძესთან საუბრის დროს განსაკუთრებით გაესვა ხაზი კოლეჯთან არსებული ცენტრის კვლევის სფეროს გაფართოების მნიშვნელობას და ამ ცენტრთან პირდაპირი კავშირის დამყარების რეალურ პერსპექტივებს.

— ხომ ვერ გვეტყვით, რამ განაპირობა კოლეჯში ახალი, კავკასიის კვლევის ჯგუფის შექმნა?

— უთუოდ, მზარდმა ინტერესმა საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების კულტურისა და ისტორიისადმი. ამაში ჩვენ დავრწმუნდით აღმოსავლეთის ქვეყნებისა და აფრიკის კვლევის ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრამაც, რომელიც ჩვენი ლონდონიდან გამომგზავრების წინა დღეს შედგა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ცენტრის დირექტორი ბ-ნი მ. დ. მაკ-უილიამი, შირინ აკინერი, ბ-ნი ჯ. რაიტი, ბ-ნი ჯ. როჯერსი და სხვა თანამშრომლები. აქ გამართული საუბარი ძირითადად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პრობლემებს ეხებოდა და მოწმობდა ჩვენი მასპინძლების დიდ სურვილს ღრმად ჩაწვდომოდნენ ქართველი ერის წარსულს, მისი ენისა და კულტურის თავისებურებებს, დღევანდელობის მწვავე პრობლემების არსს. ბ-მა ბ. ჯორბენაძემ, რომელსაც მრავალ შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა, თქვა, რომ საჭიროა ინგლისელი ქართველოლოგები და საერთოდ კავკასიოლოგები, რომელთა მოღვაწეობა უმთავრესად სწორედ ამ ცენტრთან არის დაკავშირებული, უფრო ახლო გაეცნონ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული დარგის ინსტიტუტების და, კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობას, რაც მათ საშუალებას მისცემს სწრაფად შეივსონ სპეციალური ცოდნის შესაძლებელი ხარვეზები და თავი დააღწიონ მდიდარი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის აღქმის მოსალოდნელ ცალმხრივობას.

— ამით დასრულდა თქვენი ლონდონში ყოფნა?

— არა, ბოლო დღეს ჩვენ მოვასწარით აგრეთვე გამგზავრება ქალაქ სუინდონში, სადაც სამეცნიერო და საინჟინრო კვლევის საბჭოს ვეწვიეთ. ეს იყო ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ვიზიტი, რომელმაც მკაფიოდ დაგვანახა მეცნიერების მართვის ინგლისში მიღებული სისტემის ძირითადი ნიშნები. ეს სისტემა ნამდვილად იმსახურებს დაწვრილებით შესწავლას და იმ მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც ჩვენ ამ საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში გავატარეთ, რა თქმა უნდა, ვერ ჩავწვდებოდით ყველა მის არსებით მხარეს. მაგრამ ის, რასაც გავეცანით, საკმაოდ მრავლისმეტყველია. დაწესებულების დირექტორმა ბ-მა ჯ. მორჩენტმა მოგვითხრო საბჭოს მიზნებისა და სტრუქტურის თაობაზე. როგორც მან განგვიმარტა, მისი მთავარი დანიშნულებაა ქმედითი დახმარება გაუწიოს მეცნიერების სხვადასხვა დარგში წარმოებულ ფუნდამენტურ და სტრატეგიულ კვლევას.

— ხომ ვერ დაგვიზუსტებთ, რა იგულისხმება სტრატეგიულ კვლევაში?

— ასეთი სამუშაოები, რომელთა შედეგი 10-15 წლის შემდეგ ჰპოვებს გამოყენებას.

სამეცნიერო და საინჟინრო კვლევის მთავარი საბჭო ხუთ საბჭოს აერთიანებს, რომელთა შემადგენლობაში ცნობილი მეცნიერები და მთავრობისა და წარმოების წარმომადგენლები შედიან. თითოეულ საბჭოში გამოიყოფა რიგი განყოფილებებისა, რომლებიც სათანადო კომისიებისა და ქვეკომისიებისაგან შედგება. სწორედ ამ კომისიებსა და ქვეკომისიებში გაერთიანებული მეცნიერები ქმნიან გრანტებს და ანაწილებენ ფულად სახსრებს (თუ მცირე, 30 000 გირვანქა სტერლინგამდე ოდენობის თანხებია გასანაწილებელი, ამ საქმეს ქვეკომისიას აკისრებენ; თუ უფრო დიდი თანხებია გამოსაყოფი, საკითხს კომისია სწყვეტს, ხოლო როდესაც ძალიან დიდ თანხებზეა (მილიონი გირვანქა სტერლინგი და მეტი) ლაპარაკი, გადაწყვეტილებას იღებს საბჭო. საბჭოსთან იქმნება ცენტრალური ლაბორატორიები, მაგალითად ნეიტრონების წყაროსა, სინქროტრონული გამოსხივების, ბირთვული სტრუქტურის, ლაზერული გამოკვლევებისა და სხვ. აქ თავმოყრილია თანამედროვე აღჭურვილობა კოლექტიური სარგებლობისათვის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საჭიროებისამებრ ამა თუ იმ ტიპის აღჭურვილობის სპეციალური საკვლევი ცენტრისათვის გადაცემას. შედარებით დაწვრილებით გაგვაცნეს ბუნებრივი გარემოს კვლევის საბჭოს საქმიანობა, რომელსაც ძირითადად წარმართავს განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი (ამ სამუშაოსათვის განკუთვნილი საერთო თანხის 66%-ს სწორედ ეს სამინისტრო გამოჰყოფს) და რომლის დაფინანსებაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ისეთი უწყებები, როგორებიცაა აგროკულტურისა და კვების სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბუნების დაცვის სამინისტრო და სხვ. (ეს უწყებები გამოყოფენ საერთო თანხის 32%-ს).

— ხომ არ გაგირკვევიათ, რა თანხას შეადგენს გარემოს კვლევისათვის განკუთვნილი სახსრები?

— თუ სწორად მაქვს ჩანიშნული, ეს თანხა უნდა შეადგენდეს 165 მლნ გირვანქა სტერლინგს. შესაბამის საკვლევო სამუშაოში 2600 კაცია ჩაბმული.

გარემოს კვლევის დარგში ამა თუ იმ საკითხის დამუშავების თაობაზე განაცხადის გაკეთების უფლება მხოლოდ ინგლისის წარმომადგენლებს აქვთ. ჩვენ შეგვიძლია ჩართვა ერთობლივ სამუშაოში იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ დავასაბუთებთ ჩვენს მიერ წამოყენებული პრობლემის გლობალურ ხასიათს და მისი დამუშავებით დავაინტერესებთ ლონდონის სამეცნიერო და საინჟინრო კვლევის საბჭოს.

დაგვაინტერესა ცნობამ იმის შესახებ, თუ როგორ ანაწილებს საბჭო ფულად სახსრებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნიკური დარგების საკვლევო სამუშაოებისათვის. ზოგადად საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგში წარმოებული კვლევისათვის გამოყოფილია 130 მლნ გირვანქა სტერლინგი, მაგრამ აქ არ იგულისხმება ბირთვული ფიზიკა, რომლისთვისაც სპეციალურად არის განკუთვნილი 87 მლნ გირვანქა სტერლინგი და ასტრონომია, რომელსაც ცალკე გამოეყოფა 74 მლნ გირვანქა სტერლინგი. ტექნიკის დარგში წარმოებული კვლევისათვის გამოყოფილია 130 მლნ გირვანქა სტერლინგი, ხოლო ზოგიერთი სხვა დარგის სამუშაოთათვის — 31 მლნ გირვანქა სტერლინგი. სულ ეს თანხები შეადგენს 452 მლნ გირვანქა სტერლინგს. აღსანიშნავია, რომ მთელი ამ თანხის დიდი ნაწილი (259 მლნ გირვანქა სტერლინგი) განეკუთვნება სტრატეგიულ გამოკვლევებს, რაც მეცნიერების მართვის დასავლური პოლიტიკის მეტად დამახასიათებელი ნიშანია.

— რამდენი კაცი მუშაობს სამეცნიერო და საინჟინრო კვლევის საბჭოს ადმინისტრაციულ აპარატში?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ათასზე მეტი თანამშრომელი.

— როგორ შეაფასებდით საბოლოოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ინგლისში მოგზაურობის შედეგს?

— როგორც უაღრესად მნიშვნელოვანს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ პირდაპირი კავშირი დავამყარეთ აკადემიური მეცნიერების მსოფლიოს ერთ-ერთ უმძლავრეს ცენტრთან — ლონდონის სამეფო საზოგადოებასთან. ამავე დროს დავსახეთ ანალოგიური შეთანხმებათა სრულიად რეალური პერსპექტივები ბრიტანეთის აკადემიასთან და აგრეთვე ინგლისის ზოგიერთ სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არსებული ინფორმაციული ბლოკადის პირობებში ასეთი შეხვედრები საშუალებას იძლევა ობიექტური აზრი მივაწოდოთ ცივილიზებულ სამყაროს დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა სამაჩაბლოელი ჟურნალისტის მერაბ მაისურაძის წერილი „არ გათეთრდება ყორანი", სადაც ლ. გუსოვი მოხსენიებულია საქინფორმის ფოტოკორესპონდენტად.

ამ წერილთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ შემდეგი: ლ. გუსოვი მართლაც მუშაობდა საქინფორმის ფოტოკორესპონდენტად სამაჩაბლოს (მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ზონაში 1982 წლიდან, ხოლო 1986 წლის 21 მარტს გადაყვანილ იქნა შტატგარეშე მუშაკად. ამის შემდეგ ლ. გუსოვმა საერთოდ გაწყვიტა შემოქმედებითი თანამშრომლობა სააგენტოსთან, რის გამოც ადმინისტრაციამ ა. წ. აპრილში გაათავისუფლა შტატგარეშე კორესპონდენტის თანამდებობიდან და კატეგორიულად მოსთხოვა ჩაებარებინა სააგენტოსთვის მის სახელზე რიცხული ძვირადღირებული უცხოური აპარატურა. მაგრამ — ამაოდ. ლ. გუსოვმა გადაწყვიტა ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით და მიითვისოს სახელმწიფო ქონება. ამიტომ იძულებული ვართ, ავძრათ მის მიმართ სარჩელი. ამდენად გუსოვ-გუსიევ-გუსოითი საქინფორმის თანამშრომელი კი არა, მოპასუხეა.

არჩილ მანჯგალაძე,
საქინფორმის დირექტორი.

მამული

სვანური ჩანახატები.

სიმონ კილაძის ფოტო.

გამოხმაურება

ცილისწამება გაუგებრობის საფუძველზე?

24 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ბ-ნ გიორგი მარჯანიშვილის წერილი „არ ხუმრობენ", რომელიც შეიცავს პირდაპირ ცილისწამებას ჩემი მისამართით. იმედი მაქვს, რომ ამის მიზეზია გაუგებრობა ან ავტორის ცუდი მეხსიერება. სტატიაში ნათქვამია, რომ მე ვარ ერთ-ერთი იმ სამიდ-სამი კაციდან, ვინც საქართველოში 1990 წელს გაბედა საჯაროდ დაეცვა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების იდეა (დანარჩენი ორი ბრძანებულა ბ-ნი ჭაბუა ამირეჯიბი და ქ-ნი ლანა ღოღობერიძე). 1990 წელს მე მხოლოდ ერთხელ მქონდა საშუალება, საჯაროდ გამომეთქვა ჩემი აზრი სამოკავშირეო ხელშეკრულების იდეაზე, თანაც გ. მარჯანიშვილის თანდასწრებით. ეს მოხდა იმ წლის იანვარში საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების კონფერენციაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ამ კონფერენციაზე მე გამოვედი არა პირადად ჩემი, არამედ თბილისის პოლიტიკური კლუბის სახელით, თუმცა, ცხადია, სავსებით ვიზიარებდი იმას, რაც ვთქვი. ჩემს ნაცვლად იგივე ტექსტი შეიძლებოდა კლუბის რომელიმე სხვა წევრს წაეკითხა. ასე რომ თუ ბ-ნი გ. მარჯანიშვილი ჩემს მიერ წაკითხულ თეზისს სამოკავშირეო ხელშეკრულების დაცვად თვლის, მაშინ მან დამცველთა რიცხვი საგრძნობლად უნდა გაზარდოს.

მაგრამ არავითარ „დაცვაზე" ლაპარაკი, ცხადია, არ ყოფილა. თუ ტექსტში რაიმე ბუნდოვანება იყო, მე ის განვმარტე შეკითხვებზე პასუხისას, ამიტომ მიკვირს, რატომ არ აღმოჩნდა ეს განმარტება საკმარისი გ. მარჯანიშვილისთვის. საბედნიეროდ, მოხსენების ტექსტი გამოქვეყნდა პარიზში, ჟურნალ „ივერიაში" (№ 34, გვ. 25-28), ამიტომ დღეს ადვილად შეგვიძლია მკითხველთან ერთად შევამოწმოთ, სახელდობრ რა იყო ნათქვამი. მოხსენება თეზისების ფორმით იყო შედგენილი; მთლიანად მოვიყვან ერთადერთ თეზისს, რომელიც ეხება სამოკავშირეო ხელშეკრულების თემას:

„3.7. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი, თანაც ოპტიმალური, მშვიდობიანი ვარიანტი შეიძლება იყოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. დღეს ცენტრში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური ძალა (მაშინ მ. გორბაჩოვი ჯერ კიდევ წინააღმდეგი იყო ახალი ხელშეკრულების იდეისა— გ. ნ.) თვითონ ლაპარაკობს ასეთ ხელშეკრულებაზე, როგორც ფედერაციის არსებითი განახლების და ამ გზით მისი გადარჩენის უკანასკნელ საშუალებაზე; მაგრამ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში არც ერთი რესპუბლიკა, რომელშიც კანონიერ უზენაეს ხელისუფლებას ხალხი ანუ, ფაქტიურად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააკონტროლებს, ფედერაციული სტრუქტურის დამკანონებელ ხელშეკრულებაზე ხელს არ მოაწერს. მიუხედავად იმისა, რა გზით წავა საბჭოთა კავშირის ევოლუცია, საქართველო დადებს სამოკავშირეო ხელშეკრულებას ნებისმიერ სახელმწიფოებრივ ერთეულთან მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს პოზიციიდან, საკუთარი ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე. ამ ვარიანტთან დაკავშირებით საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად რეალურია მისი განხორციელება, ე. ი. რამდენად წავა ამაზე ცენტრი".

როგორც ხედავთ, აქ არაორაზროვნად არის უარყოფილი საქართველოს მონაწილეობა ნებისმიერ ხელშეკრულებაში, რომელიც დაარღვევს მის სუვერენიტეტს და, კერძოდ, ისეთ „ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში", რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება. ცხადია, სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მართლა სუვერენულ სახელმწიფოებს შორისაც: მაგალითად, ნატოს ქვეყნები ერთმანეთის მოკავშირეები არიან გარკვეული ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ ეს მათ სახელმწიფოებრივ სტატუსს სულაც არ არღვევს. აქედან გამომდინარე, არსებობდა (და კვლავ არსებობს) იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება" ყოფილიყო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ (როგორც ბრიტანეთის იმპერიის დაშლას ნიშნავდა თანამეგობრობის შექმნა). ოღონდ ბოლოს, როგორც დაინახეთ, გამოთქმულია ეჭვი, რამდენად რეალურია ამ შესაძლებლობის განხორციელება.

საზოგადოდ ამ თეზისის (ისევე როგორც მთელი მოხსენების, ისევე როგორც მთელი კონფერენციის) მიზანი იყო არა კონკრეტული პოლიტიკური სვლების დაგეგმვა, არამედ პოლიტიკური ვითარების ზოგადი ანალიზი. მე მაშინაც ვთვლიდი და ახლაც ვთვლი (თუმცა ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ბევრი არ დამეთანხმება), რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების იდეა (რომელიც თავდაპირველად ბალტიის რესპუბლიკებმა წამოაყენეს) ობიექტურად რესპუბლიკებს აძლევდა ხელს და არა ცენტრს. ერთადერთი რეალური გზა იმპერიის შენარჩუნებისა იყო და არის პირდაპირი ძალადობა; ყოველგვარი მოლაპარაკება და ხელშეკრულებების დადება თუნდაც შეზღუდული „პერესტროიკული" დემოკრატიის პირობებში ობიექტურად ანგრევდა საბჭოთა კავშირს, გორბაჩოვის პირადი ჩანაფიქრისგან დამოუკიდებლად. ეს როგორც მ. გორბაჩოვზე, ისე გ. მარჯანიშვილზე უკეთესად იცოდნენ იმ ძალებმა, რომლებმაც ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღეს სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს. ხელშეკრულებაზე ხელმოწერა რომც შემდგარიყო, ეს იურიდიულად არათანმიმდევრული, კომპრომისული დოკუმენტი, ჩემი ღრმა რწმენით, იმ ცხრა რესპუბლიკასაც მყარად ვერ შეკრავდა — რომ აღარაფერი ვთქვათ ექვს „ურჩ" რესპუბლიკაზე, რომელთა მიმართ ცენტრს მხოლოდ ეკონომიკური დაწოლის და ეთნიკური პროვოკაციების იარაღი დარჩენოდა.

ამდენად, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს მოხსენებაში გამოთქმული თეზისის ძირითადი აზრი დადასტურდა: ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გზა ჯოჯოხეთური იმპერიის ნგრევის შედარებით მაინც მშვიდობიანი გზა გამოდგა. შემიძლია მივულოცო თბილისის პოლიტიკური კლუბის წევრებს (მათ შორის საკუთარ თავსაც), რომ კარგი პოლიტიკური ალღო აღმოგვაჩნდა. რაც შეეხება გ. მარჯანიშვილის წერილში გამოთქმულ ბრალდებას, თითქოს ჩვენ განახლებულ საბჭოთა კავშირში საქართველოს შესვლის მომხრენი ვყოფილიყავით, კვლავ ვიტოვებ იმედს, რომ ის გაუგებრობას უნდა მივაწეროთ და არა ტენდენციურობას.

გია ნოდია

განცხადება

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის მიმართვა სიღნაღის რაიონის ამომრჩევლებისადმი

სიღნაღის რაიონში 1991 წლის 1 სექტემბერს გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დამატებითი არჩევნები. საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტი, გადაწყვეტილების შესაბამისად, მხარს უჭერს დეპუტატობის კანდიდატს გია ქუფარაშვილს.

გია ქუფარაშვილი საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის სიღნაღის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. მან ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე გამოავლინა თავი როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაპარლამენტარულ პერიოდში, ისევე სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოებში საქმიანობისას. ჩვენ გვჯერა, რომ გია ქუფარაშვილს მომავალში მნიშვნელოვანი საქმეები ხელეწიფება.

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს სიღნაღის რაიონის ყველა ამომრჩეველს მხარი დაუჭირონ გია ქუფარაშვილის კანდიდატურას, არჩევნების დღეს ხმა მისცეს მის გამარჯვებას.

დარწმუნებული ვართ, რომ არ შეცდებით!

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტი.

1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს მშრომელების თავისუფალი კავშირის საინიციატივო ჯგუფის

განცხადება

1991 წლის 24 აგვისტოს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის ხელმძღვანელობის ინიციატივით არსებული პროფკავშირული სტრუქტურების კონფედერაციული სისტემის ლიკვიდაციისა და ახალი სტრუქტურების მქონე „საქართველოს თავისუფალი პროფესიული კავშირების" შექმნის მიზნით გაიმართა რიგგარეშე, საგანგებო ყრილობა.

ყრილობის მოსამზადებელი პერიოდი წარიმართა მთელი რიგი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით: კერძოდ, ყრილობის მოწვევის შესახებ არ ყოფილა საბჭოს გადაწყვეტილება და წარმომადგენლობის ნორმის განსაზღვრა. პირველად ორგანიზაციებში არ გამართულა კრებები სარაიონო და საქალაქო კონფერენციებზე წარსაგზავნი დელეგატების ასარჩევად, ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში პროფკავშირულ კონფერენციებზე პროფცენტრების თავმჯდომარეებისა და ყრილობის დელეგატების არჩევისას იყო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მხრიდან აშკარა და უხეში ჩარევის შემთხვევები, წესდების პროექტის სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებამდე (გამოქვეყნდა 15 აგვისტოს) გაცილებით ადრე შეიქმნა სარაიონო და საქალაქო პროფცენტრები, ყრილობაზე რესპუბლიკური პროფცენტრის თავმჯდომარის არჩევისას არ ყოფილა დასახელებული ალტერნატიული კანდიდატურა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოს მშრომელების თავისუფალი კავშირის საინიციატივო ჯგუფი აცხადებს:

საქართველოს პროფკავშირებში მიმდინარე ე. წ. „გარდაქმნის" პროცესმა, რიგგარეშე, საგანგებო ყრილობისწინა პერიოდმა და თვით ყრილობამ მიღებული დოკუმენტების შინაარსით და ჩატარებული უალტერნატივო „არჩევნებით" დაადასტურა, რომ ახლად შექმნილი ე. წ. „საქართველოს თავისუფალი პროფესიული კავშირები" არ წარმოადგენს ნებაყოფლობით, თავისუფალ, დემოკრატიულ და რიგითი წევრების აზრის გამომხატველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

საქართველოსთვის მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში, როცა ქართველი ერი იბრძვის თავისუფლებისათვის და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის, საქართველოს მშრომელების კანონიერი ინტერესების დამცველი პროფკავშირული სტრუქტურების სამართლებრივ საფუძველზე ჩამოყალიბება კონკრეტული ნაბიჯი იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე და ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ამოცანების გადაწყვეტას.

საქართველოს მშრომელების თავისუფალი კავშირის საინიციატივო ჯგუფის სახელით გიგა ფრიდონაშვილი.

26 აგვისტო 1991 წ.

კრიმინალური ქრონიკა

ქურდი ჯარისკაცები...

რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების მუშაკებს ღამით მორიგი შემოვლა ჰქონდათ, როცა „საქმშენტრესტის" ტერიტორიაზე სეიფთან უცნობი პირები შენიშნეს. დახმარებისთვის არასაუწყებო დაცვის თანამშრომლებსაც უხმეს. კარგად გააზრებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს სამი დამნაშავე. ისინი აღმოჩნდნენ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების რიგითი ჯარისკაცები — სტავროპოლის მხარის მკვიდრი ალექსანდრე სეროვი, ვიტალი იუშკო და ალექსანდრე ემეცი, რომლებიც ოდესისა და ხმელნიცკის ოლქებიდან არიან, და რუსთავში დისლოცირებული შინაგანი ჯარების № 74-30 სამხედრო ნაწილში იხდიან „მხედრულ" მოვალეობას.

ჯარისკაცები შეპარულან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი ქარხნის სასადილოში და ერთბაშად ხუთი კონდიციონერი მოუპარავთ. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია.

ცხადია, ასეთი რამ ბოლო წლებში ახალი არ არის, მაგრამ უფრო სხვა ფაქტმა დაგვაფიქრა და გაგვაოცა: ქურდობისკენ ჯარისკაცებს უბიძგა მათივე „აღმზრდელმა" — ამავე ნაწილის ზეგადიანი სამსახურის პრაპორშჩიკმა, სკპ წევრმა, ნამიკ მუსა ოღლი სარიევმა, რომელიც რუსთავის თორდიას ქუჩის მეორე ჩიხის მეოთხე სახლში ცხოვრობს და თითოეული მოპარული კონდიციონერისათვის „ხელქვეითებს" 500-500 მანეთს უხდიდა. ეს ჯარისკაცები იმ ასეულის „მეომრები" არიან, რომლის მეთაურია შინაგანი სამსახურის კაპიტანი გურამ კოკოევი.

როგორც შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსმა ფრიდონ კენკებაშვილმა გვითხრა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საბრალდებო საქმე სამხედრო პროკურატურას გადაეცა და, ალბათ, დამნაშავენი სასჯელს თავს ვერ აარიდებენ.

დავით ივანიძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი აპარატი სამძიმარს უცხადებს ნესო ქუმსიშვილს მამის
დიმიტრი იოსების ძე ქუმსიშვილის
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-78-71.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგამომცემლო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 6443

საქართველოს რესპუბლიკა